პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

შაბათი, 20 იანვარი, 1951 წ. № 17 (8871). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

დიდი ძალა კომუნიზმისათვის ბრძოლაში — „პრავდის“ 19-I მოწინავე (1-ლი გვერდი).

ქალაქ ლენინგრადის კიროვის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).

ვ. ი. ლენინის ხსოვნისათვის (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები (მე-2 გვერდი).

თბილისის XX საქალაქო პარტიული კონფერენცია — კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო (მე-2 და მე-3 გვერდი).

ლენინის დღეებისათვის მზადება რუმინეთში (მე-4 გვერდი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის დეპეშა (მე-4 გვერდი).

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მუშაობის შედეგები (მე-4 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

იტალიის სოციალისტური პარტიის 29-ე ყრილობა (მე-4 გვერდი).

დიდი ძალა კომუნიზმისათვის ბრძოლაში

მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის საყოველთაო-სახალხო მზადებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ბოლშევიკურმა პრესამ. მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი, ნამდვილად სახალხო ბოლშევიკური პრესა კეთილშობილურ ამოცანებს ასრულებს. მას შეაქვს მასებში ლენინ-სტალინის უკვდავი იდეები, წარმოადგენს ბოლშევიკური პარტიის მძლავრ იარაღს კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის—ბოლშევიკური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის გარდაცვალების ოცდამეშვიდე წლისთავს, საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია ჩვენს ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში ლენინიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებისათვის სიამაყის გრძნობით.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ჯერ კიდევ პირველ თვეებში ვ. ი. ლენინი ლაპარაკობდა ბოლშევიკების მტკიცე მისწრაფებაზე „...აუცილებლად მიაღწიონ იმას, რომ რუსეთი აღარ იქნეს ღატაკი და უძლური, რომ იგი გახდეს ძლიერი და მდიდარი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით... ჩვენ გვაქვს მასალა ბუნების სიმდიდრითაც, ადამიანთა ძალის მარაგითაც, მშვენიერ გაქანებითაც, რაც დიდმა რევოლუციამ ხალხის შემოქმედებას მიანიჭა,—რომ შევქმნათ ნამდვილად ძლიერი და მდიდარი რუსეთი“.

დიდი ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები ასრულდა. ლენინის უკვდავი საქმის გენიალური განმგრძობის—დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა გახდა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფო, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევი ბურჯი. საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძალა და სიცოცხლისუნარიანობა ცხადად გამოჩნდა სამამულო ომის წლებში და მშვიდობიანი მშენებლობის ომისშემდგომ პერიოდში.

საარჩევნო კამპანიაში პრესის უპირველესი მოვალეობაა თავისი ოლქის, რესპუბლიკის ცხოვრებიდან აღებული ცოცხალი, მკაფიო და უტყუარი ამომრჩევლისათვის მახლობელი მაგალითებით ცხადყოს ლენინიზმის იდეების ზეიმი, საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით.

დახედეთ ჩვენი სამშობლოს რუკას!

საბჭოების ქვეყნის უსაზღვრო სივრცეებზე წარმოებს გრანდიოზული მშენებლობა. აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრე, რაც ცარიზმის დროს გამოუყენებელი იყო, ახლა ჩაყენებულია სოციალიზმის სამსახურში. ყველგან დიადი სტალინური გეგმის მიხედვით იცვლება ჩვენი ქვეყნის სახე. ხდება ბუნების გარდაქმნა.

დიახ, რუსეთი ახლა ის აღარ არის, რაც წინათ იყო. გაიზარდა, განახლდა, ძლიერი სოციალისტური სახელმწიფო გახდა ჩვენი სამშობლო, გაიზარდნენ საბჭოთა ადამიანები — კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

სულ უფრო მაღლა და მაღლა მიიწევს კომუნიზმის ახალ დიად მშენებლობათა ხარაჩოები. წარმატებით მთავრდება ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობა. დაწყებულია კუიბიშევის, სტალინგრადისა და კახოვკის გრანდიოზული ელექტროსადგურების მშენებლობა. გაგვყავს თურქმენეთის მთავარი არხის, სამხრეთ უკრაინის, ჩრდილოეთ ყირიმის არხების ტრასები. ამ გიგანტურ ნაგებობათა განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს მოვრწყოთ, წყლით უზრუნველვყოთ და ბარაქიან ჯეჯილებად, აყვავებულ მდელოებად და ბაღებად გადავაქციოთ ვოლგასგაღმა, კასპიის ზღვის პირის, ყარა-ყუმის, უკრაინის, ყირიმის, დონისა და ხალხის ველების მილიონობით ჰექტარი გვალვიანი და უდაბური მიწა. ყოველივე ეს ქმნის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის უაღრესად ხელსაყრელ პირობებს.

ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ყველა ერი, ყველა ხალხი თანასწორუფლებიანია და ერთნაირი უფლებებით სარგებლობს საზოგადოების სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. ჩვენში შექმნილია ხალხთა თანამშრომლობის ის შესანიშნავი ორგანიზაცია, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ეწოდება. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფო გაიზარდა არა ბურჟუაზიულ საფუძველზე, რომელიც სტიმულს აძლევს ეროვნული უნდობლობისა და ეროვნული მტრობის გრძნობას, არამედ საბჭოთა საფუძველზე, რომელიც, პირიქით, ნერგავს ჩვენი სახელმწიფოს ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის გრძნობებს.

ჩვენი პრესა მოწოდებულია პროპაგანდა გაუწიოს ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებებს, უამბოს ამომრჩევლებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის მიღწევებზე, სახალხო მეურნეობისა და ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში მოპოვებულ წარმატებებზე.

მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება აღინიშნება ახალი საწარმოო წარმატებებით, ყველგან ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. პრესამ ფართოდ უნდა გააშუქოს სოციალისტური შეჯიბრება ქალაქში და სოფლად და გაავრცელოს ყოველივე ახალი, მოწინავე, რაც შეჯიბრების პროცესში იბადება.

ასეულ ათასობით აგიტატორი ეწევა ახლა პოლიტიკურ მუშაობას ამომრჩევლებში, შეაქვს მასებში მართალი ბოლშევიკური სიტყვა. საუკეთესო აგიტატორების, საუკეთესო აგიტპუნქტების გამოცდილების განზოგადება და გავრცელება ჩვენი გაზეთების პირდაპირი ვალია.

პრესამ საარჩევნო კამპანიებში ცოტა გამოცდილება როდი შეიძინა. შეიძლება მოვიყვანოთ მთელი რიგი მაგალითები, როცა გაზეთები, ეყრდნობიან რა ამ გამოცდილებას, ახლა ახალი ინიციატივით აჩაღებენ პროპაგანდისტულ და სააგიტაციო მუშაობას.

რესპუბლიკურმა გაზეთმა „სოვეტსკაია ლატვიამ“ უკანასკნელ ხანს დაბეჭდა საინტერესო მასალა ჩვენი სამშობლოს გამარჯვებებზე, საბჭოთა წყობილების უპირატესობაზე კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. „სტალინგრადსკაია პრავდა“ სისტემატურად აქვეყნებს სტატიებსა და კორესპონდენციებს ვოლგა-დონის არხის მშენებლობაზე, მასალას მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში ქალაქისა და სოფლის აგიტატორების მუშაობის გამოცდილების შესახებ. ხარკოვის საოლქო გაზეთი „კრასნოე ზნამია“ სპეციალურ გვერდებს უძღვნის უკრაინის ცალკე ოლქების—სტალინური დონბასის, საკოლმეურნეო პოლტავშჩინისა და სხვების მიღწევებს.

აგიტატორების მუშაობას ფართოდ აშუქებს გაზეთი „კრასნაია ბუხარა“. იგი მოგვითხრობს ბუხარის ბამბის მუშაკთა წარმატებებზე, რაზმავს მშრომელებს ოლქში მებამბეობის განვითარების კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად.

ბევრი რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთი შემოქმედებით ინიციატივას იჩენს საარჩევნო კამპანიის გაშუქებაში. ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე სისტემატურად ბეჭდავენ წერილებს მოწინავე მუშები და კოლმეურნეები, საბჭოთა სახალხო ინტელიგენცია. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა გაზეთი მკაფიოდ და შინაარსიანად როდი აშუქებს საარჩევნო კამპანიის საკითხებს. მაგალითად, რესპუბლიკურ გაზეთ „ტურკმენსკაია ისკრაში“ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების პერიოდში დაიბეჭდა რამდენიმე საინტერესო მასალა თურქმენეთში მომხდარ შესანიშნავ ცვლილებათა შესახებ. უკანასკნელ ხანს კი გაზეთმა შეუწყნარებლად შეასუსტა მუშაობა, ახლა ამაოდ დავუწყებთ ძებნას მის ფურცლებზე მასალას აგიტატორების დასახმარებლად. ზერელედ და უსისტემოდ აშუქებს არჩევნებისათვის მზადებას „ალტაისკაია პრავდა“.

საარჩევნო კამპანია ახლა გადამწყვეტ ეტაპში შედის. საოლქო საარჩევნო კომისიები შეუდგნენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატების რეგისტრაციას. გაზეთებმა უნდა გააჩაღონ აგიტაცია მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ, ფართოდ გააშუქონ მათი შრომითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მათი დამსახურება სამშობლოს წინაშე.

წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელები გამოთქვამენ სურვილებს ან კრიტიკულ შენიშვნებს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მიმართ. ფხიზლად უნდა დავუგდოთ ყური ამომრჩევლების ხმას, მხარი დავუჭიროთ ჯანსაღ შენიშვნებსა და წინადადებებს და ვიბრძოლოთ მათი ქმედითობისათვის.

საბჭოთა პრესის, როგორც ახალი ტიპის პრესის, ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება პრესაში მასების აქტიური მონაწილეობა. რაც უფრო ფართოდ მიიზიდავენ გაზეთები პროპაგანდისტებს, აგიტატორებს, ნდობით აღჭურვილ პირებს, ამომრჩევლებს საარჩევნო კამპანიის საკითხების გასაშუქებლად, მით უფრო წარმატებით გაართმევენ თავს თავიანთ ამოცანებს. პრესაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობა ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა საბჭოთა დემოკრატიზმისა, პრესის ნამდვილი თავისუფლებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გარანტირებულია სტალინური კონსტიტუციით.

საბჭოთა პრესა ერთგულად ემსახურება ხალხის ინტერესებს, იგი დიდ ძალას წარმოადგენს კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ასრულებს რა კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის როლს, ჩვენი პრესა საარჩევნო კამპანიის პერიოდში აქტიურად იბრძოლებს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ახალი გამარჯვებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის.

„პრავდის“ 19/I მოწინავე

მოსკოვი, კრემლი.

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო და საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძევ!

დღეს ლენინგრადელებმა სასიხარულო ცნობა მიიღეს. თქვენ, ჩვენო მშობლიურო ამხანაგო სტალინ, დათანხმდით რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროთ ქალაქ ლენინგრადის კიროვის საარჩევნო ოლქში.

უსაზღვრო სიხარულით აღსავსეა ჩვენი გული. თქვენ, საბჭოთა ხალხის ბრძენმა მასწავლებელმა და გენიალურმა ბელადმა, გაგვიწიეთ დიდი ნდობა.

კიროვის საარჩევნო ოლქში გამართულ დღევანდელ მიტინგზე შეკრებილი 300 ათასამდე მშრომელი ყველა ლენინგრადელის სახელით გულითად, მგზნებარე სალამს გიძღვნით და მხურვალე რუსულ მადლობას მოგახსენებთ ჩვენდამი თქვენი ნდობისა და პატივისათვის.

მთელი ჩვენი ფიქრები და გრძნობები თქვენთანაა, ჩვენო ძვირფასო, მხურვალედ საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძევ.

თქვენს სახელოვან, რევოლუციური პათოსით, გმირული შრომითა და ღვაწლით აღსავსე სიცოცხლეს თქვენ ახმართ მუშათა კლასის საქმისათვის, მთელი მშრომელი პროგრესული კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლას. თქვენი თავდადებული სამსახური ხალხისადმი თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის აღმაფრთოვანებელი მაგალითია. თქვენ, ჩვენო გენიალურო მასწავლებელო და ბელადო, დიდ ლენინთან ერთად შექმენით მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო — მთელი პროგრესული კაცობრიობის შუქურა და იმედი. საბჭოთა ადამიანები ამაყობენ და ბედნიერი არიან იმ შეგნებით, რომ ცხოვრობენ და მუშაობენ სტალინურ ეპოქაში.

თქვენს სახელთან, მშობლიურო ამხანაგო სტალინ, განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი. თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა უმაგალითოდ მოკლე ხანში გადაიქცა მსოფლიოს მძლავრ სახელმწიფოდ, მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების ქვეყნად.

დიდი სამამულო ომის წლებში თქვენმა მხედართმთავრულმა გენიამ უზრუნველყო საბჭოთა ხალხის გამარჯვება ფაშისტ დამპყრობლებზე და იხსნა მსოფლიო ცივილიზაცია. ომისშემდგომ პერიოდში მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს, რათა განახორციელოს თქვენ მიერ შემუშავებული დიადი პროგრამა კომუნიზმის აშენებისა. საბჭოთა ხალხი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურების, არხებისა და სარწყავი სისტემების მშენებლობას.

საბჭოთა კავშირი, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდშია. დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრ ბანაკში გაერთიანდა 800 მილიონი ადამიანი, რომლებიც სოციალიზმის დროშის ქვეშ დადგნენ. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები იზრდებიან, მტკიცდებიან და იმარჯვებენ. რაც უნდა გაბოროტებული იყვნენ ომის ამერიკელ-ინგლისელი გამჩაღებელნი, რომლებიც ცდილობენ დაიწყონ ახალი მსოფლიო ომი, დაიმონონ თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხი, მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, იმპერიალისტები ვერ შეაჩერებენ თანამედროვეობის უძლეველ მოძრაობას თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

მხურვალედ საყვარელო მამავ და მასწავლებელო! ლენინგრადელები არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ თქვენ, ამხანაგო სტალინ, ჩვენო დიდო ბელადო და გენიალურო მხედართმთავარო, ორჯერ იხსენით ლენინგრადი უცხოელ დამპყრობთა და ინტერვენტთა შემოჭრისაგან. პეტროგრად-ლენინგრადის მთელი რევოლუციური ისტორია დაკავშირებულია თქვენს სახელთან, ძვირფასო ამხანაგო სტალინ.

პიტერელი და ნარვის გარეუბნის მუშების უფროს თაობას ახსოვს, თუ რა მჩქეფარე რევოლუციურ მუშაობას ეწეოდით თქვენ, საყვარელო ბელადო, რაზმავდით რა რუსეთის პროლეტარიატს კაპიტალიზმის წინააღმდეგ იერიშისათვის. ლენინთან ერთად, თქვენ, ამხანაგო სტალინ, გამოაცხადეთ მსოფლიო ისტორიის ახალი ერა — სოციალიზმის ერა. თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიის VI ყრილობამ, რომელიც ნარვის გარეუბანში მიმდინარეობდა, ჩვენს ქვეყანასა და პარტიას გეზი მისცა შეიარაღებული აჯანყებისაკენ, კაპიტალიზმის დამხობისაკენ.

უსაზღვროდ მადლობელი ვართ ჩვენს ქალაქზე, მის აყვავებაზე, ლენინგრადის მშრომელთა ყოფაცხოვრებისა და კულტურის გაუმჯობესებაზე თქვენი ვანუწყვეტელი მამობრივი ზრუნვისათვის. ყოველივე ამისათვის გულითადი მადლობა თქვენ, ჩვენო ძვირფასო მამავ და ბრძენო მასწავლებელო.

კიროვის საარჩევნო ოლქის მშრომელები უდიდეს, უგულითადეს მადლობას გიძღვნიან იმ ნდობისათვის, რაც თქვენ გაუწიეთ ლენინგრადელებს, დათანხმდით რა კენჭი იყაროთ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ჩვენს საარჩევნო ოლქში.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო მამავ და მასწავლებელო, გავამართლოთ გაწეული ნდობა ახალი შრომითი საქმეებით. საბჭოთა ადამიანებისათვის არ არსებობს იმაზე მეტი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ იშრომონ და შეასრულონ თქვენი ბრძნული რჩევა და მითითებანი, იყვნენ კომუნიზმის მშენებლობის სტალინური გეგმის განხორციელებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს შევხვდებით ახალი საწარმოო წარმატებებით იმ ვალდებულებათა შესრულების საქმეში, რომლებიც იკისრეს ლენინგრადელებმა თქვენთვის გამოგზავნილ წერილში, ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო. კიროვის საარჩევნო ოლქის თვითეული ამომრჩეველი რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს უდიდესი სიხარულითა და სიამაყით მოგცემთ ხმას თქვენ, ამხანაგო სტალინ, ყველა მშრომელთა დიდ ბელადს, საყვარელ მამას, ბრძენ მასწავლებელსა და მეგობარს.

გისურვებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს მშრომელთა საბედნიეროდ!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ, დიდ საბჭოთა კავშირს — ხალხთა მეგობრობის ბურჯს და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასაყრდენს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის გმირ პარტიას!

გაუმარჯოს კომუნიზმის დიდ მესაჭეს — გენიალურ ბელადსა და ბრძენ მასწავლებელს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს, ჩვენს ძვირფას და მხურვალედ საყვარელ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

მიღებულია ქალაქ ლენინგრადის კიროვის საარჩევნო ოლქის მშრომელთა მიტინგზე.

1951 წლის 17 იანვარი.

ვ. ი. ლენინის ხსოვნისათვის

21 იანვარს სრულდება ბოლშევიკური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 27 წელი.

საბჭოთა ხალხი წმიდად ინახავს მშრომელთა დიდი ბელადის ხსოვნას. **კიევში**, უკრაინის სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი გამოფენა. დიდი სიყვარულით არის მოწყობილი გამოფენის განყოფილება, რომელიც მოგვითხრობს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბავშვობისა და ყრმობის წლების შესახებ. განყოფილებაში — „ვ. ი. ლენინი — ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი და ხელმძღვანელი“ ექსპონირებულია ვლადიმერ ილიას-ძის ნაწარმოებნი, რომლებშიც მუშავდებოდა მუშათა კლასის პარტიის შექმნის საკითხი. გამოფენის სპეციალური განყოფილება მიძღვნილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიადი თანამეგობრობისადმი.

ტაშკენტის სტალინის სახელობის საფეიქრო კომბინატის ფაბრიკებში, „ტაშტექსტილმაშისა“ და „ტაშსელმაშის“ ქარხნების, კაგანოვიჩის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საამქროებში, უზბეკეთის დედაქალაქის დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და აგიტპუნქტებში ამ დღეებში ეწყობა ლექციები და საუბრები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. პარტიულ კაბინეტებში, კულტურის სასახლეებსა და კლუბებში მზადდება ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ღრმად სწავლობენ ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაშრომებს. **ყაზახეთის** სსრ სახელმწიფო წიგნის პალატამ შეაჯამა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა ყაზახურ ენაზე გამოცემის შედეგები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყაზახეთში გამოიცა ვ. ი. ლენინის 160-ზე მეტი ნაწარმოები 1.700 ათასზე მეტი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. ლენინის ბევრი ნაშრომი არაერთგზის გამოიცა ხელახლა. 1946 წელს დაიწყო ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოცემა ყაზახურ ენაზე. უკვე გამოიცა პირველი ათი ტომი.

ლენინის დღეებისათვის ემზადებიან **ყირგიზეთის** დედაქალაქის მშრომელები. შვიდი ათასზე მეტი აგიტატორი ატარებს მშრომელებში საუბრებს ვ. ი. ლენინზე. ჩერნიშევსკის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკამ მოაწყო გამოფენა. აქ წარმოდგენილია ყირგიზულ ენაზე გამოცემული ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, მშრომელთა დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინისადმი მიძღვნილი სურათების რეპროდუქციები.

ალტაის ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ გაჩაღდა მზადება ლენინის დღეებისათვის. საკავშირო კ. პ. (ბ) ბარნაულის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო მომხსენებლებისა და პროპაგანდისტების თათბირი, რომელთათვისაც წაკითხულ იქნა საინსტრუქციო მოხსენება თემაზე: „27 წელი ულენინოდ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ლენინის გზით“. ალტაის მხარის რაიონებში მოეწყო აგიტატორთა თათბირები.

მთიანი ალტაის ავტონომიური ოლქის ულაგანის, კოშ-აგაჩის, უსტ-კანსკისა და სხვა რაიონებში გაემგზავრა მოძრავი იურტები. მათ აქვთ კინოაპარატები. ლენინის დღეებში მშრომელებს უჩვენებენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობისა და დიადი თანამეგობრობის ამსახველ ფილმებს.

მოსკოვი. წითელი მოედანი. **სურათზე:** ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან.

ფოტო ე. ევზერიხინისა და ნ. კირეევისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მოხდა სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილმა სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებულ პედაგოგთა დიდ ჯგუფს.

ლენინის ორდენი მიიღეს: თბილისის ვაჟთა 21-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. პ. დანელიამ, თბილისის ვაჟთა მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ქალმა ნ. ნ. თავდგირიძემ, თბილისის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ქალმა ო. თ. კასრაძემ, თბილისის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ქალმა ქ. ს. კალანდაძემ, თბილისის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ი. ი. კოსტავამ, თბილისის ქალთა მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ქალმა ა. ს. ანდრეასიანმა, თბილისის ქალთა 29-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ტ. გ. ბოლდოვსკაიამ, თბილისის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ქალმა ს. ი. ვეკუამ, თბილისის ქალთა 27-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ქალმა ა. ი. გიორგაძემ და სხვებმა—სულ 26 პედაგოგმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო 39 პედაგოგმა, ორდენი „საპატიო ნიშანი“—39 პედაგოგმა, მედალი „შრომითი მამაცობისათვის“—22 და მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“—19 პედაგოგმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვა მასწავლებელმა ქალმა ს. ნ. ჩილინგარიანმა, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, დიდ სტალინს საბჭოთა პედაგოგებზე დაუღალავი ზრუნვისათვის.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილმა, რომელმაც მიულოცა დაჯილდოებულთ მთავრობის მაღალი ჯილდოების მიღება და უსურვა მათ შემდგომი წარმატება მუშაობაში. (საქდესი).

საკავშირო პროფსაბჭოს V პლენუმი

17 იანვრის საღამოს სხდომაზე პლენუმი შეუდგა დღის წესრიგის მეორე საკითხის — პროფკავშირების კულტურულ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხის განხილვას. მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ნ. ვ. პოპოვამ.

მოხსენებაში მოყვანილ იქნა მშრომელთა კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლების დამახასიათებელი მონაცემები — დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების, ტექნიკუმებისა და სხვა სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვის გადიდება.

პოლიტიკურ - აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის პროფკავშირებს აქვთ 8 ათასზე მეტი კლუბი, კულტურის სახლი და სასახლე, 9 ათასზე მეტი დიდი ბიბლიოთეკა, 80 ათასი წითელი კუთხე, ათასობით კინოდანადგარი.

მომხსენებელი ლაპარაკობს ბიბლიოთეკების ქსელის განვითარებაზე და აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პროფორგანიზაციებმა 4 ათასზე მეტი ახალი ბიბლიოთეკა შექმნეს.

მოხსენების ბოლო ნაწილი ამხ. პოპოვამ მიუძღვნა პროფკავშირების კულტურულ დაწესებულებათა ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1951 წლის 19 იანვრის ბრძანებულებით დააწესა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ან მდივანი 1951 წლის 20 იანვრიდან 20 თებერვლამდე თავისუფლდება ძირითადი სამუშაოსაგან ძირითად სამუშაო ადგილზე ხელფასის შენარჩუნებით. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქი

კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

რეგისტრაციაში გატარებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

ხელოვნების მუშაკთა სახლში შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ბერიას № 27 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომაზე დასასწრებლად მოვიდნენ საარჩევნო ოლქში შემავალი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოწინავე ადამიანები, რომლებმაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

სხდომა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ქეთევან კაპანაძემ.

— ჩვენი ოლქის ყველა ამომრჩეველი, — თქვა მან, — სიხარულით შეიტყობს, რომ ამხანაგმა კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქში.

სხდომის მონაწილენი ამ ცნობას მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

სიტყვას იღებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ალ. ბარამიძე.

— მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივის საერთო კრებამ, — ამბობს იგი, — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი. ამხანაგი ჩარკვიანი მთელ თავის ნიჭს, ენერგიასა და უნარს ახმარს ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი წინსვლისა და აყვავების საქმეს.

გამოვთქვამ რა ჩვენი კოლექტივისა და ოლქის ყველა ამომრჩეველთა ნება-სურვილს, ვთხოვ საოლქო საარჩევნო კომისიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტიული ბიუროს მდივანმა ამხ. მ. ჭელიძემ დამსწრეთ მოუთხრო იმ მიღწევებზე, რაც ჩვენმა რესპუბლიკამ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების განვითარების დარგში.

ამხანაგ კ. ჩარკვიანის თანხმობა კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში, — ამბობს ის, — ოლქის თვითეულ ამომრჩეველს ავალებს უფრო ენერგიულად იბრძოლოს საყვარელი სამშობლოს შემდგომი წარმატებებისათვის.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პარტბიუროს მდივანი ს. ჭილაია, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ნ. კანდელაკი, საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს პარტბიუროს მდივანი ზ. კაკაბაძე, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გიორგაძე, ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ა. აფაქიძე.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბერიას № 27 საარჩევნო ოლქიდან რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ბერიას № 27 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული ოქმები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ბერიას № 27 საარჩევნო ოლქიდან **კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის** დასახელების შესახებ და მისი განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში დამსახელებელი ორგანიზაციებისაგან, საოლქო საარჩევნო კომისიამ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოარკვია, რომ **კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი** დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 49, 50, 51, 52, 53 და 54 მუხლების სრული შესაბამისობით.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ **დაადგინა**: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ბერიას № 27 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გატარებულ იქნას **კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი**, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დასახელებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს მუშა-მოსამსახურეთა და მეცნიერ მუშაკთა საერთო კრებებისაგან.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 58-ე მუხლის საფუძველზე **კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი** შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატად საარჩევნო ბიულეტენში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ბერიას № 27 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 57-ე მუხლის შესაბამისად ეს დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ქ. პ. კაპანაძე**
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ა. მ. აფაქიძე**
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: **ნ. დ. ომიაძე, ა. ნ. ალასანია, ბ. გ. ბაბუციძე, მ. გ. ხელაშვილი**
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ე. გ. სარაჯიშვილი**

თელავის სტალინის საქალაქო საარჩევნო ოლქი

ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი

რეგისტრაციაში გატარებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თელავის სტალინის № 164 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიამ ერთსულოვნად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თელავის სტალინის № 164 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული ოქმები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თელავის სტალინის № 164 საქალაქო საარჩევნო ოლქიდან **ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილის** დასახელების შესახებ და მისი განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში დამსახელებელი ორგანიზაციებისაგან, საოლქო საარჩევნო კომისიამ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოარკვია, რომ **ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი** დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულია „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 49, 50, 51, 52, 53 და 54 მუხლების სრული შესაბამისობით.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ **დაადგინა**: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თელავის სტალინის № 164 საქალაქო საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გატარებულ იქნას **ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, წამოყენებული თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშა-მოსამსახურეთა და სოფელ კისისხევის კ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებებისაგან.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 58-ე მუხლის საფუძველზე **ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი** შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატად საარჩევნო ბიულეტენში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თელავის სტალინის № 164 საქალაქო საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 57-ე მუხლის შესაბამისად ეს დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **თ. ი. დალაქიშვილი**
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ა. ლ. ნადაშვილი**
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: **ნ. ე. ალექსიძე, მ. ს. საგინაშვილი, გ. ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. პ. ჭილიძე, დ. პ. ჯავახიშვილი, ვ. ი. არჯევანიძე.**
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ნ. თ. დოლბაია**

ლანჩხუთის საარჩევნო ოლქი

ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა

რეგისტრაციაში გატარებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ლანჩხუთის № 246 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიამ ერთსულოვნად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ამხ. ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ლანჩხუთის № 246 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული ოქმები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლანჩხუთის № 246 საარჩევნო ოლქიდან **ვასილ ბარნაბის-ძე გოგუას** დასახელების შესახებ და მისი განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში დამსახელებელი ორგანიზაციებისაგან, საოლქო საარჩევნო კომისიამ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოარკვია, რომ **ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა** დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულია „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 49, 50, 51, 52, 53 და 54 მუხლების სრული შესაბამისობით.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 55-ე მუხლის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ **დაადგინა**: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ლანჩხუთის № 246 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გატარებულ იქნას **ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, წამოყენებული ლანჩხუთის სტალინის და სოფელ შუხუთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრებებისაგან.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 58-ე მუხლის საფუძველზე **ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა** შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატად საარჩევნო ბიულეტენში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ლანჩხუთის № 246 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 57-ე მუხლის შესაბამისად ეს დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ი. თ. კეკელიძე**
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ი. რუხაძე**
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები: **ა. ბ. ცინცაძე, ლ. ბ. კვეიძე, გ. ნ. ფირცხალაიშვილი, ე. თ. რუსია, ა. ბ. მუქერია, მ. ა. იმნაძე**
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ქ. ა. ორაგველიძე**

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. მ. ი. ბარამიას

კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცხაკაიას საქალაქო № 260 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. მიხეილ ივანეს-ძე ბარამია, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1905 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. ზ. ნ. კეცხოველის

კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დუშეთის რაიონის ბაზალეთის № 131 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1902 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

თბილისის XX საქალაქო პარტიული კონფერენცია —

კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

ამხ. ს. ჩიქოვანის სიტყვა

(საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე)

თბილისის ბოლშევიკების შემოქმედებითი მუშაობა და რესპუბლიკის დედაქალაქის ახალი სახე უნდა გახდეს ჩვენი მწერლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შთაგონების წყარო. ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ახალი სიტყვა უნდა უთხრას სოციალისტური თბილისის მშენებლებს, ქალაქის გარდამქმნელებს. თუ ძველმა თბილისმა შექმნა თავისი პოეზია, ქართული საბჭოთა პროზა და პოეზია ვალდებულია უფრო სრულყოფილი სახეებით დაგვისურათოს ახალი თბილისის მშენებლობანი და თვითონ ქალაქის მომხიბლავი მიდამოები. მხატვრული სიტყვის ოსტატებმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალი, სოციალისტური თბილისის შემოქმედებით ცხოვრებაში, ხელი შეუწყონ საბჭოთა არქიტექტორებს ქალაქის გამშვენიერებისა და კეთილმოწყობის საქმეში, მხატვრული სიტყვის საშუალებით თავისი წვლილი შეიტანონ თბილისის მშენებლობის საქმეში.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში თბილისის მშენებლობის, პარტიული მუშაობის საკითხებთან ერთად განიხილა ქართული საბჭოთა კულტურის საკითხები ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ სტალინის შრომებში გამოთქმულ შეხედულებათა ასპექტში. ამხანაგმა ჩარკვიანმა უპირველეს ყოვლისა ქართული სალიტერატურო ენის საკითხები გააშუქა და ქართული საბჭოთა მწერლობის წინაშე ახალი ამოცანები დასახა.

ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ სტალინის შრომებში გამოთქმულ შეხედულებათა მიხედვით თუ განვიხილავთ იმ დავას, რომელიც დიდი ქართველი პოეტების აკაკისა და ვაჟა-ფშაველას შორის მიმდინარეობდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ვაჟა-ფშაველა და მისი პოზიციის დამცველები არ იყვნენ მართალნი.

ცნობილია, რომ ვაჟამ ილია ჭავჭავაძის და რაფიელ ერისთავის გავლენით დაიწყო წერა, მაგრამ შემდეგ ილია ჭავჭავაძის პოეტური პოზიციებიდან გადაიხარა. ვაჟას ტალანტით მოხიბლული ბევრი ქართველი კრიტიკოსი თუ მწერალი ვერ ამჩნევდა იმ მოზღვავებულ პროვინციალიზმებს, რომლებიც ვაჟას პოეზიას შემოჰყვა ქართულ მწერლობაში, ვაჟას შეეძლო ეწერა სუფთა სალიტერატურო ენით, როგორც ეს მის პროზაში ჩანს. მაგრამ ვაჟამ პროვინციალიზმით გატაცება პრინციპად გაიხადა, აკაკი წერეთლისადმი პასუხში პროვინციული ენა თავის პოეტური მრწამსის ნაწილად აღიარა. და, რასაკვირველია, ეს შეცდომა იყო. ვაჟას ენობრივი პარტიკულარიზმი, ცხადია, მის იდეურ სამყაროსთან იყო დაკავშირებული. როდესაც „აჩრდილში“ ილია საერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს აყენებდა და შრომის სუფევას უმღეროდა, ვაჟა-ფშაველა თემის წინააღმდეგ აჯანყებული პიროვნების მხატვრულ დახასიათებას უნდებოდა. მართალია, იგი ამას დიდი დრამატული სიმძაფრით გვიხატავდა, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე გამოსული ქართული მწერლობის მამოძრავებელ იდეებს გვერდს უვლიდა. ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველას დიდი პოეტური მემკვიდრეობით არ გაემდიდრებინოს მე-19 საუკუნის ქართული კულტურა. ვაჟას მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისება და ზუსტი შესწავლა, მის მემკვიდრეობაში არსებულ წინააღმდეგობათა გარკვევა აუცილებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველას დიდი პოეტური ავტორიტეტი შეუვალად მიაჩნდათ, და სალიტერატურო ენის საკითხებზე მისი შეხედულებების, მისი მემკვიდრეობის მიღება თითქმის გამეფებული იყო მთელ ქართულ საბჭოთა მწერლობაში. უკრიტიკოდ იღებდნენ ვაჟას შეხედულებებს პოეტები გ. ლეონიძე, ი. მოსაშვილი, მათ შორის მეც. ამ უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში იშვიათად მოსულა მწერლობაში ახალგაზრდა, რომ გატაცებული არ ყოფილიყოს ვაჟას პოეზიის სწორედ ჩრდილოვანი მხარეებით, კერძოდ მისი კუთხური დიალექტით. წინათ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არავითარი აღმზრდელობითი მუშაობა არ წარმოებდა მწერალთა კავშირში და ჩვენს რედაქციებში. საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ ეს საკითხი უნდა დააყენოს დღის წესრიგში და ყოველდღიურად აწარმოოს ახალგაზრდებთან მუშაობა.

მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას უკანასკნელი ათეული წლის მუშაობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ნაძალადევი რეფორმა მოეხდინა სალიტერატურო ენაში და მრავალი, ხალხში დამკვიდრებული სიტყვა შეეცვალა ახალი სიტყვით, რაც მართებულად დაგმობილ იქნა გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო წერილში. სალიტერატურო ენის ბუნებრივი პროცესების წინააღმდეგ ბრძოლა ეწინააღმდეგება ამხანაგ სტალინის მიერ წამოყენებულ მოძღვრებას ენის განვითარების შესახებ. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი ქმნიდნენ ახალ სახალხო სალიტერატურო ენას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი უშუალოდ ემორჩილებოდნენ ხალხურ მეტყველებას. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ამაღლებდნენ რა სალიტერატურო ენას, შემდეგ ხალხურ მეტყველებაზე თვითონვე ახდენდნენ გავლენას. ისინი ქმნიდნენ ისეთ სალიტერატურო ენას, რომელიც ხალხისათვის იყო მისაღები და ორგანულად უკავშირდებოდა მას.

ამ ტრადიციებზე აღზრდილი საბჭოთა მწერლობა გარკვევით უნდა დაადგეს იმ გზას, რომელსაც ამხანაგი სტალინი მიგვითითებს. თავის გენიალურ შრომებში დიდი სტალინი გვასწავლის, რომ დიალექტებს და ჟარგონებს არ გააჩნიათ რაიმე ენობრივი დამოუკიდებლობა და განწირულნი არიან უბადრუკი არსებობისათვის. ამ დებულებიდან უნდა დავასკვნათ, რომ კუთხური კილოკავებით ზედმეტი გატაცება მიუღებელი და დაუშვებელია.

სალიტერატურო ენის საკითხებთან დაკავშირებულია პოეტური ფრაზის თუ ფანტაზიის ბუნდოვანება. ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი შეეხო ჩემს ნამუშევარს, მართებულად გააკრიტიკა ჩემი ერთი ლექსის ბუნდოვანი სტრიქონები. ასეთი შეცდომებისაგან მე დღესაც არა ვარ დაზღვეული, მაგრამ სიტყვას ვაძლევ კონფერენციას, რომ ვეცდები ასეთი რამ მომავალში არ გაიპაროს ჩემს შემოქმედებაში.

ილია ჭავჭავაძემ აკაკი წერეთელთან ერთად ისეთი სალიტერატურო ენა შექმნა, რომელიც მისაწვდომი და გასაგებია ხალხის ყველა ფენისათვის. ჩვენ ეს სალიტერატურო ენა გვჭირდება. ქართველი მწერლები სიტყვას ვაძლევთ კონფერენციას, რომ დავიცავთ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ამ მაგისტრალურ ხაზს.

ამხანაგ ჩარკვიანის მოხსენებას ქართული საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის და ქართული მწერლობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მასში დასახულია ახალი ამოცანები, რომელთა განხორციელებისათვის დიდი მუშაობა უნდა გასწიოს საქართველოს მწერალთა კავშირმა.

ქართველი საბჭოთა მწერლები დაძაბული შემოქმედებითი მუშაობით შეეცდებიან გადაწყვიტონ ის დიდი ამოცანები, რომლებსაც მათ წინაშე აყენებენ ჩვენი პარტია და საბჭოთა მწერლობის დიდი მეგობარი და მშვიდობის დიდი მედროშე საყვარელი სტალინი.

ამხ. პ. ბუჯიაშვილის სიტყვა

(თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი)

ჩვენი ფაბრიკა ქალაქის იმ მცირეოდენ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც თავიანთი საწარმოო დავალებები ვერ შეასრულეს ვერც 1949 და ვერც 1950 წელს.

რა არის ფაბრიკის ასეთი ხანგრძლივი ჩამორჩენის მიზეზი?

უწინარეს ყოვლისა, ჩვენი საკუთარი ნაკლოვანებანი. ამ ბოლო დრომდე ჩვენ ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევდით წარმოების გეგმაშეწონილი მომზადების, გამოსაშვებად მასალების წინასწარი შერჩევის საკითხებს, დამამზადებელ და შემკერავ საამქროებს შორის მუშაობის ურთიერთდაკავშირებას. ეს ხშირად იწვევდა შემკერავი კონვეიერების მუშაობის რიტმის დარღვევას და, მაშასადამე, საწარმოო გრაფიკის ჩაშლას.

ჩვენთან ხშირად ირღვევა შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინა, განსაკუთრებით ისეთ წამყვან საამქროში, როგორიც საგამომჭრელოა. დღემდე ვერ მოვუღეთ ბოლო მუშახელის დენადობას.

გეგმის ბედს ძირითადად წყვეტს საწარმოს გეგმაშეწონილი მომარაგება ნედლეულითა და მასალით. ჩვენი ფაბრიკა ერთიორად მეტ მასალებს ხარჯავს, ვიდრე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფეხსაცმლის ყველა საწარმო, ერთად აღებული. ამ მასალებს ჩვენ გვაწვდის ბევრი მომწოდებელი, უმთავრესად სსრ კავშირის შორეული ქალაქებიდან. მე არ შევეხები ამ ცალკეულ მომწოდებლებს, რომლებიც ხშირად თავიანთ ვალდებულებას არ ასრულებენ. თვალსაჩინო მაგალითისათვის დავასახელებ ადგილობრივ მომწოდებელს — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს № 1 ტყავის ქარხანას. ამ ქარხანამ 1949 წელს ფაბრიკას დააკლო 95 ტონაზე მეტი მაგარი ტყავეული, რაც ჩვენთვის საჭირო ამ სახის საქონლის რაოდენობის 25 პროცენტს შეადგენს. ხოლო 1950 წელს — 145 ტონა (28 პროცენტი).

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის XX საქალაქო პარტიული კონფერენცია

კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

(დასასრული)

იგივე უნდა ითქვას იმავე სამინისტროს სხვა საწარმოებზე, რომლებიც ფაბრიკას აკლებენ რბილი ტყავეულის დაწესებულ ნორმებს. აღარაფერს ვამბობ მოწოდებული მასალების ხარისხის, ასორტიმენტისა და კომპლექტურობის დარღვევებზე.

საწარმოს ნორმალური მუშაობა დამოკიდებულია წარმოების მოცულობის სწორად დაგეგმვაზე. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფეხსაცმლის მრეწველობის მთავარი სამმართველო კი წლითიწლობით გვაძლევს დაუსაბუთებელ გეგმებს. ეს არსებითი ნაკლი წელს, მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ამხ. კოსიგინის ჩარევის შემდეგ, როგორც იქნა აღმოიფხვრა. ახლა ძირითადად შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ ჩამორჩენა დავძლიოთ და საწარმოო პროგრამა შევასრულოთ.

ჩვენს ფაბრიკაში, როგორც ცნობილია, წარმოიშვა ახალი შესანიშნავი მოძრაობა (ბრძოლა მოწყობილობის შეუჩერებელი, მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის), რაც მესამე შემკერავი საამქროს მექანიკოსის ამხ. ი. ნიკოლაიშვილის ინიციატივით დაიწყო. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინიციატივით ეს შესანიშნავი წამოწყება თბილისის მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოებსაც გადააქვთ.

ამხ. გ. ლეონიძის სიტყვა

(პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი)

ამხანაგ სტალინის ნაშრომებს ენათმეცნიერების საკითხებზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა მწერლობის განვითარებისათვის, რამდენადაც მათში ღრმა მარქსისტულ გაშუქებას პოულობენ ენის რთული პრობლემები.

ბრძოლა ენის სიწმინდისათვის, ბრძოლა საერთო-სახალხო ეროვნული ენის მშენებლობისათვის, ბრძოლა პროვინციალიზმის მიმართ — ძირითადი წარმმართველი გზა უნდა იყოს სალიტერატურო ქართულის შემდგომი განვითარების საქმეში.

საკმარისია ენა ასცდეს საერთო სახალხო პოზიციას, რომ იგი დაქვეითების და მოსპობის გზას დაადგეს.

ენის საკითხი მარტო მწერლობისა და ენათმეცნიერების საკითხი როდია, იგი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია, რადგან ენა მხარდამხარ მისდევს ცხოვრებას, ხელს უწყობს ჩვენი მეურნეობისა და კულტურის აყვავებას.

პარტია და ხელისუფლება მუდამ დიდ ყურადღებას აქცევენ ენის საკითხებს. ამ მხრივ მრავალი ღონისძიება განხორციელებულა. დღესაც პარტია მოგვიწოდებს ვიბრძოლოთ ენობრივი სიწმინდისათვის.

ქართულ საბჭოთა მწერლობას, ცხადია, ძირითადში ენის ხალხურობა, ცოცხალი ხალხური მეტყველება ახასიათებს, მაგრამ ჩვენს ნაწერებში კიდევ აქვს ადგილი აქა-იქ უსწორობას, ფრაზის და სიტყვის ხელოვნურად დამძიმებას. ასეთი მაგალითები არ არის იშვიათი ჩვენი პოეტებისა და ბელეტრისტების შემოქმედებაში.

სრულიად სამართლიანად შენიშნა თავის მოხსენებაში ამხ. კ. ჩარკვიანმა, რომ მეც მაქვს ნახმარი ზოგი გაუგებარი, ხელოვნური სიტყვები. ეს უმთავრესად ჩემს ისტორიულ პოემა „სამგორს" შეეხება, სადაც ვცადე გამომეყენებინა ზოგი არქაული და დიალექტური სიტყვა ისტორიული კოლორიტისთვის.

ასეთი ხელოვნური სიტყვები ამძიმებენ, აბუნდოვანებენ ნაწარმოებებს, არ ეგუებიან თანამედროვე სახალხო ენის საერთო მიმართულებას და მათი ხმარება კატეგორიულად უარსაყოფელია.

ცხადია, მომავალ ჩვენს მუშაობაში ასეთი გამოგონებანი და შეცდომანი თავიდან იქნება აცილებული. ვფიქრობ, ეს ნაკლი ადვილად მოსაშორებელი იქნება ჩემთვის, მით უმეტეს, ასეთი არქაული სიტყვები არ ეგუება ჩემს საერთო ლიტერატურულ სტილს და მეთოდს.

გამოგონილსა და ხელოვნურ სიტყვებთან ბრძოლა სავალდებულოა კიდევ იმისთვის, რომ, როგორც შენიშნავს ამხანაგი კ. ჩარკვიანი თავის მოხსენებაში, „ცნობილი პოეტების გავლენით სიტყვების მავნე და ზედმეტ თხზვას ზოგჯერ ეწევიან ახალგაზრდა დამწყები მწერლებიც".

ამიტომ საჭიროა პირველ რიგში გავაკრიტიკოთ შეცდომები ჩვენი ცნობილი მწერლებისა, რათა მათ კრიტიკაზე აღიზარდოს ჩვენი მწერლობის ახალი თაობა.

ქართული ლიტერატურული ენის ისტორია გვიდასტურებს, რომ ხალხური ენობრივი სამყარო საიმედო საყრდენი იყო მწერლობის ენის გამდიდრებისათვის და გამრავალფეროვანებისათვის.

ჩვენი დიდი მწერლებისათვის წარსულში თვით ხალხი იყო „წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმებისა". ახალი სალიტერატურო ქართული ენის ფუძემდებლები ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი ხალხს მიმართავდნენ ხოლმე, ისინი უმთავრესად ხალხური სიტყვიერებით საზრდოობდნენ.

ასე, მაგალითად, ილიას „საზრდო გამოქონდა ხალხიდან თავის სიტყვიერებისათვის". „დღეს ამა და ამ გლეხმა ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა სთქვაო" — იტყოდა იგი.

ქართული სალიტერატურო ენის მეორე ფუძემდებელი აკაკი წერეთელი შემდეგს ამბობდა ხალხური ენის შესახებ:

„ენა ხალხმა კარგად იცის და არ ვიცით მხოლოდ ჩვენ, რადგან კაბინეტში ვზივართ და ხალხს არ ვიცნობთ... აი ახლაც, სოფლელებს ზღაპრებს ვათქმევინებ ხოლმე და, უნდა ნახოთ რამდენ სიტყვებს მისთანას ხმარობენ, რომელიც მე ან დავიწყებული მაქვს და ან არ მცოდნია, მაგრამ ნამდვილი ქართული სიტყვები კი არის. როცა უცხო ენებიდან რასმე ვთარგმნით და სიტყვებს ვეღარ ვპოულობთ. ჩვენ ყოველთვის მითი ვიმართლულობთ თავს, რომ ქართული ენა ღარიბია და იმას კი არა ვფიქრობთ, რომ ჩვენ თვითონ ვართ ცოდნით ღარიბი! ძველ წიგნებს ჩვენ აღარ ვკითხულობთ, ხალხში ჩამდგარი არა ვართ, რომ მათ სიტყვა-პასუხს ყური ვუგდოთ, ვიგონებთ, რაც მოგვადგება ენაზე და მორჩა გათავდა... მეტი გზა აღარ არის, ზეპირ-სიტყვაობას უნდა მივაქციოთ ყურადღება".

ასეთი დიდი აზრისაა აკაკი წერეთელი ხალხის ენის შესახებ, ასე მოკრძალებით ლაპარაკობს იგი თავისი ენობრივი ცოდნის შესახებ.

ამხანაგებო, ენობრივი კულტურის გამომუშავება მოითხოვს დაძაბულ მუშაობას, დიდ თავდადებასა და სიყვარულს. მოვიგონოთ ჩვენი ამაგდარი კლასიკოსების ღვაწლი. თვით უსასტიკეს ხანებში, როცა საქართველო კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როცა თბილისის ნარიყალაში ირანის გარნიზონი იდგა, ქართველი მწერლები სულხან-საბა ორბელიანი, იოსებ თბილელი, არჩილი, დ. გურამიშვილი ქადაგებდნენ ენის სიწმინდის დაცვას სწორედ აგრესორთა თურქიზმებისა და სპარსიზმებისაგან.

მათ მშვენივრად იცოდნენ მშობლიური ენის დიდი მნიშვნელობა:

„ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით:
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს,
მოეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას"!
(გრ. ორბელიანი).

ამიტომაც ასე უყვარდათ ენა ჩვენს წინაპრებს. დიდ სიყვარულთან ერთად, ისინი დაუცხრომელ მუშაობას აწარმოებდნენ ენის სფეროში.

ცხადია, დღეს, დიდი სტალინის ეპოქაში, რა თავდაუზოგავი მუშაობა გვმართებს, როცა მშობლიური ენის არნახული აყვავებისათვის ყოველგვარი პირობაა შექმნილი.

სხვათა შორის, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ენის სიწმინდეზე, არქაიზმებსა და პროვინციულ დიალექტებზე, ყოველთვის გვავიწყდება ერთი ყალბი ტენდენცია, რომელიც ზოგჯერ სრულიად დაუმსახურებლად გაიდეალებულიც არის ხოლმე. მე მოგახსენებთ ქალაქურ აშუღურ-ყარაჩოღულ ჟარგონის შესახებ, რომელიც ოთხი ენის ნალექისაგან შედგება და, რომელმაც საკმაოდ იჭირითა ჩვენს მწერლობაში, ჩვენს თეატრში, ჩვენს ოჯახში. იყო კურიოზები, როცა ამ ჟარგონის მოტრფიალენი მოითხოვდნენ ენის განვითარებისათვის ჩვენს მწერლობაში „ფეხი მოედგა" ვითომდა ამ „მოხდენილ და შნოიან კილოს": „იგი ღირსია ამ პატივისო".

ჯერ კიდევ 1870 წელს გაზეთი „დროება" სამართლიანად სწერდა ყარაჩოღული პოეზიის უარყოფის შესახებ: „ზემოხსენებული სპარსული კილო ლექსებისა იყო და დარჩა მარტო დიდკაცობის, აგრეთვე მოქალაქე ვაჭრების და ალებ-მიცემის კაცებისთვის. ნამდვილად, მთელ ხალხს კი, თავისი პოეზია, სიმღერის კილო ლექსწყობა აქვს". ეს „შუაბაზრის ენა" ცხადია, უცხოა ქართველი ხალხისათვის და ენის სიწმინდის დასაცავად საჭიროა ჩვენი ენა ყარაჩოღული ხორცმეტობისაგანაც გავწმინდოთ და გავასუფთაოთ.

ამხანაგ სტალინის სიტყვით, ჟარგონების მოქმედებას ვიწრო სფერო აქვთ და სრულიად გამოუსადეგარნი არიან, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, ისინი „ემსახურებიან არა ხალხის მასებს, არამედ ვიწრო სოციალურ ზედაფენას". ყარაჩოღულ-აშუღური ჟარგონი, რომლის ძირითადი შემადგენელი ელემენტები უმთავრესად თურქულ-სპარსული წარმოშობის სიტყვებია, უცხოა ქართული ეროვნული ენის ძირითადი ლექსიკური შემადგენლობისათვის, — მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის დამამცირებელია, შეურაცხმყოფელი და მისი საუკეთესო ტრადიციებისათვის ყოვლად შეუფერებელი.

თვითეული მწერალი უნდა დაუფიქრდეს ენის სიწმინდის საკითხს. მეტი შესწავლა, მეტი დაკვირვება, მეტი სისათუთე და სიფაქიზე ენისადმი,—აი რა მოგვეთხოვება.

მწერალთა კავშირმა ამიერიდან სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ენის სიწმინდის საკითხს, მან დაუყოვნებლივ უნდა დასახოს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

საჭიროა შესწავლილ და გარჩეულ იქნას ენის მხრივ, ჩვენი მოწინავე მწერლებისა და პოეტების შემოქმედება. ამას თვით მწერლებისათვის სარგებლობის მოტანის გარდა, როგორც აქ ითქვა, აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ექნება ახალი თაობისათვის. **(ხმები—მართალია).**

ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა, ჩვენი ენათმეცნიერება ამ მხრივ მწერლობას ნაკლებად ეხმარებოდა. ჩვენი ენათმეცნიერება ჯეროვნად არ შეხებია საბჭოთა მწერლობის ენის პრობლემებს. დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მწერლობისათვის, კერძოდ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტს.

ასევე საჭიროა მეტი კონტროლი გაეწიოს სასკოლო სახელმძღვანელოების ენას. ცნობილია, ამ უბანზე ყველაფერი ჯერ კიდევ რიგზე არ არის.

აუცილებელ ღონისძიებად მიმაჩნია, რათა ჩვენმა ჟურნალმა „მნათობმა" და ჩვენმა გაზეთმა „ლიტერატურა და ხელოვნებამ" ვრცელი ადგილი დაუთმონ წერილებს და ნაშრომებს ენის საკითხის შესახებ და სათავეში ჩაუდგნენ ენის საკითხზე დისკუსიებს.

საჭიროა ხალხის ენის შესწავლის საქმის დაწინაურებისათვის ქართული ზეპირსიტყვაობისა და ქართული მხატვრული უძველესი ძეგლების გამოცემა. არ არის გამოცემული საფუძვლიანად არა მარტო ზეპირსიტყვაობის ის მასალა, რომელთა ჩაწერასაც ყოველწლიურად აწარმოებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ფოლკლორული ექსპედიციები, არამედ არ არის საბოლოოდ თავმოყრილი გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი ტექსტები და ჩანაწერები თვით გასული საუკუნის ქართველი ფოლკლორისტებისა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორულმა სექციამ, რომელიც საერთოდ კარგად მუშაობს, დროულად უნდა მოუაროს ამ საქმეს. არ კმარა მარტო მასალების ჩაწერა და დაგროვება, საჭიროა მათი გამოქვეყნებაც. კარგა ხანია გასული, რაც ჩვენს გამომცემლობებს მნიშვნელოვანი რამ არ დაუბეჭდიათ ამ დარგიდან.

უნდა დაჩქარდეს აგრეთვე ძველი მხატვრული მნიშვნელოვანი ძეგლების გამოცემის საქმეც.

როგორც ზეპირსიტყვაობის მასალების, ისე ძველი მნიშვნელოვანი ძეგლების გამოცემა ხელს შეუწყობს მწერლებს, კრიტიკოსებს, მკითხველებს ენის ათვისებაში. დაახლოება ამ ორ წმინდა წყაროსთან, — ხალხის ენასთან და უძველეს ქართულ ძეგლებთან, — თავიდან აიცილებს მწერლობას თითოდან გამოწოვილ სიტყვათშემოქმედებას, უაზრო, გაუგებარ სიტყვებს, გამოთქმებს და „ზაუმური სახეების" გამოგონებას.

ამხანაგებო! პარტია მოგვიწოდებს, რათა უფრო სათუთად დავიცვათ ჩვენი მშობლიური ენა, უმდიდრესი ქართული ენა, დიდი სტალინის და რუსთველის ენა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ვერ დამარხა ვერავითარმა კატასტროფამ, ვერ წალეკა ვერავითარმა სისხლის წარღვნამ, ვერ მოსპო ვერც მტარვალთა დევნამ, ვერ გაანადგურა ვერც ჯალათების ხმალმა და ბორკილმა!

ქართული მწერლობა, ცხადია, ერთსულოვანი სიყვარულით და თავდადებული მუშაობით უპასუხებს პარტიის ამ წმინდა, ღირსეულ მოწოდებას.

საბჭოთა ქართული კულტურა დევკაცური ნაბიჯებით მიდის წინ, მისი დიდი სამკაულია მშობლიური, ქართული ენა, რომელსაც არ გავათელვინებთ მტერს და მით უმეტეს არ დავამცირებინებთ არც მოყვარეს.

დიახ, ჩვენ გვმართებს დიდი მუშაობა. დიდი მემკვიდრეობა გვაქვს მოსავლელი. და მე მინდა ჩვენი მწერლების სახელით აღვუთქვა ჩვენს პარტიულ კონფერენციას, რომ არ დავზოგავთ ნიჭს, ენერგიას, ღვაწლსა და მეცადინეობას ქართული სალიტერატურო ენის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი მწერლების მიერ ახალ-ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის დიდი სტალინის ეპოქის სადიდებლად.

ამხ. პ. კილასონიას სიტყვა

(თბილვაჭრობის დირექტორი)

ხელმძღვანელობს რა თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენციისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილებებით, თბილვაჭრობა იბრძვის ვაჭრობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის და აუმჯობესებს თავის მუშაობას. საცალო საქონელბრუნვის გეგმა შარშან შესრულდა 105,3 პროცენტით. ქალაქის მოსახლეობას მიეყიდა 21 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო საქონელი, ვიდრე გათვალისწინებული იყო გეგმით. თბილვაჭრობის ზეგეგმითმა დაგროვებამ ორი მილიონი მანეთი შეადგინა.

სავაჭრო საწარმოთა მუშაობის წარმატებანი უმთავრესად იმით აიხსნება, რომ შევძელით შეგვემცირებინა საქონლის ნაშთები და დაგვეჩქარებინა სახსრების ბრუნვა. სავაჭრო ქსელში მატერიალურად პასუხისმგებელი პირების სწორად შერჩევის, პირველადი აღრიცხვის გაუმჯობესებისა და ყოველდღიური კონტროლის გაძლიერების შედეგად გასულ წელს გაფლანგვა-დატაცების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

მიღებულია ზომები სავაჭრო ქსელის გაფართოებისათვის. საანგარიშო ორ წელიწადში ქალაქში გაიხსნა ახალი მაღაზიები — „ბავშვთა სამყარო", სამრეწველო საქონლის მაღაზია საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანზე, სავაჭრო პავილიონი ლენინის რაიონში. აღდგენილ იქნა, გაფართოვდა და კაპიტალურად შეკეთდა ქალაქის უდიდესი მაღაზია „პასაჟი" და თბილვაჭრობის უნივერმაღი. უახლოეს დღეებში გაიხსნება კიდევ ორი ახალი მაღაზია, მათ შორის სპეციალიზებული მაღაზია „ნორჩი ტექნიკოსი".

სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების სამჯერ შემცირებამ, რამაც დიდად გააუმჯობესა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და აამაღლა მოსახლეობის მყიდველობითი უნარი, ვაჭრობის მნიშვნელოვანი გაფართოება გამოიწვია.

თბილვაჭრობა უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევას შეძლებდა, მის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები რომ არ იყოს. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის დახლის ცალკეული მუშაკების მიერ მომხმარებელთა მოტყუების, მათთან უხეში მოპყრობის ფაქტები. ჩვენს მაღაზიებში ჯერ კიდევ ვერ იცავენ მზა ტანსაცმლის, ტრიკოტაჟისა და წინდის ნაწარმის სავალდებულო ასორტიმენტს.

ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო ის, რომ ადგილობრივი მრეწველობის, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, სარეწაო კოოპერაციისა და კოოპინკავშირის საწარმოები საჭირო ასორტიმენტით ვერ ასრულებენ პროდუქციის გამოშვების მთავრობის მიერ დადგენილ გეგმას.

მყიდველი ჩვენგან მოითხოვს ფართო მოხმარების მაღალხარისხოვან საქონელს. იგი ხშირად კითხულობს ვენურ სკამებს, რბილ ტახტებს, შირმის ჩარჩოებს, ლეიბებს, უთოებს, მარმარილოს პირსაბანებს, საბავშვო ველოსიპედებს, სათამაშოებს, კარ-ფანჯრის ანჯამებსა და კავებს და სხვ. სამწუხაროდ, ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობა, მიუხედავად ყველა შესაძლებლობისა, ამ საქონელს არ ამზადებს.

თბილვაჭრობის მუშაკთა კოლექტივს, რომელსაც ყოველდღიურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ყველა შესაძლებლობა აქვს გაცილებით უკეთ იმუშაოს, და პირობას ვაძლევ კონფერენციას, რომ იგი კიდევაც მიაღწევს ამას.

ამხ. ი. ნონეშვილის სიტყვა

(საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტორგანიზაციის მდივანი)

მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაცია ქართველი მწერლების მოწინავე ნაწილს აერთიანებს. პარტორგანიზაციის კრებებზე ხშირად დგას შემოქმედებითი საკითხები, მაგრამ ჩვენს მუშაობას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი აქვს. ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ პარტორგანიზაციამ დღემდე მკვეთრად ვერ დააყენა საკითხი ქართული ენის სიწმინდის შესახებ. ამ კონფერენციაზე მოცემული მითითებანი გვავალებენ ღრმად ჩავუკვირდეთ ჩვენს ნაწერებს, უფრო მტკიცედ ვიბრძოლოთ ქართული ენის სიწმინდისათვის.

ქართული სალიტერატურო ენის დამახინჯების ფაქტები მოყვანილი იყო ძველი თაობის მწერლების შემოქმედებიდან. ჩვენ, ახალი თაობის მწერლებს, მით უფრო მეტი ენობრივი შეცდომები გვაქვს.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელი ილია ჭავჭავაძე 1861 წელს წერდა: „ლიტერატურის განზრახვა ის არის, რომ ერთგვარი ენა შესდგეს და არა მრავალშტოიანი. გთხოვთ, ნუღარ გააღვიძებთ კანონს, რომელიც დიდიხანია რაც დაიმარხა და რომელიც, ვიდრე იყო თავის მოქმედებაში, რკინის სალტესავით ავიწროებდა კაცის მეტყველებასა და აზრსა".

სამწუხაროდ, ბევრ ჩვენგანს დღემდე კარგად არ ესმოდა არც ილიას ეს თხოვნა, არც ხალხის მოთხოვნილება.

ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ 1861 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში ილია ეხება ისეთ მწერლებს, რომლებიც თავიანთ ნაწერებს განგებ ავსებენ ძველი, სახარებიდან ამოწერილი, გაუგებარი სიტყვებით. მათ შესახებ ილია წერს: „ან ავტორსა სურს თავისი თავი დიდად მცოდნედ აჩვენოს წამკითხველსა, ან არა და ჰბაძავს ჩვენს წინაპართა წერაში და ვეღარც იმათ წვდება და ვერც ახლანდელს მიმხვდარა".

აქვე შესანიშნავი მაგალითიც მოჰყავს ილიას. აღწერილია მედუქნე, რომელიც თავისუფალ დროს რაღაც წიგნს უკითხავს გლეხკაცებს.

„გლეხკაცები სრულიად არ უგდებენ ამ მედუქნეს ყურსა, როცა კითხულობს, ...როგორც მე მოვკარი ყური, საშინელი ენით არის დაწერილი... წაიკითხავს ერთ მუხლსა, შემდგომ დაანებებს კითხვას თავსა და ზეპირად უამბობს გარეშე მყოფ ხალხსა, რაც წაიკითხა, და უნდა უყურო იმათ მხიარულობასა და თავის ქნევასა, როცა თავის ენაზე გაიგებენ ხოლმე იმ უცნაურ ზღაპრულ მოთხრობასა".

სამწუხაროდ, ასეთი მედუქნეები ზოგიერთ ჩვენს წიგნსაც დასჭირდება. **(საერთო სიცილი).**

ქართული ენის სიწმინდის დაცვის მხრივ განსაკუთრებით ცუდად არის საქმე პერიფერიებში. აი ფაქტებიც. სოხუმში ახლახან გამოვიდა ვალერიან დუდუჩავას რომანი „დაუსრულებელ გზაზე". იგი დაწერილია ცუდი, დამახინჯებული ქართულით. ენობრივი შეცდომები აზრობრივ შეცდომებშიც გადადის. ხშირია დაუფიქრებელი, გაუგებარი გამოთქმები. ავტორი ერთ ადგილას წერს:

„ჩადგა თუ არა ანდრიამ ფეხი საყანეში, სესიკა ხანჯლით ეკვეთა მას და წელები გადმოაყრევინა, სასიკვდილოდ მაინც ვერ გაიმეტა" **(საერთო სიცილი).**

სოხუმში გამოსული ლიტერატურული ალმანახის მესამე წიგნში დაბეჭდილია დიმიტრი გიგიბერიას პოემა „ბალადა სოფლის ბორანზე".

ავტორს დიდი სამამულო ომის დაწყების დღე—1941 წლის 22 ივნისი რითმისათვის 21 ივნისში გადააქვს. **(საერთო სიცილი).**

„ორმოცდა ერთის ივნისი იყო,
კვირა დღე იყო ოცდაერთისა".

აქვე ვკითხულობთ იმავე ავტორის შემდეგ სტრიქონებს:

„დაგვემშვიდობა შუაღამისას,
ჩვენ შინ დავბრუნდით სამის ხუთისას,
მე—აგრონომი ხეივანისა,
შენ—საცდელ-საკვლევ
ინსტიტუტისა".

რას ნიშნავს „სამის ხუთისას", „აგრონომი ხეივანისა" ან „საცდელ-საკვლევ ინსტიტუტისა?" — გაუგებარია.

ახალგაზრდა პოეტი ერმილე კაკაბაძე წერს: „შენი ლანდი, მარად მნათი წინ რომ მიმყვება". სიტყვა მიჰყვებაში ჩვეულებრივ იგულისხმება უკან მისდევს, ალბათ, ავტორს სურს თქვას „წინ მიმიძღვის", მაგრამ ენის უცოდინარობის გამო სრულიად საწინააღმდეგოს ამბობს:

უნდა აღვნიშნო, რომ ქართველი მწერლები, კერძოდ ახალი თაობის მწერლები, ვალში ვართ ჩვენი ძველთაძველი, მაგრამ მარად ახალგაზრდა თბილისის წინაშე. ცხოვრებამ გაგვასწრო წინ. ზღაპრული სისწრაფით აშენდნენ და გალამაზდნენ დედაქალაქის უბნები. ჩვენი ლექსები კი კვალდაკვალ ვერ მისდევენ დედაქალაქის ყოველდღიურ წინსვლას.

მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის სახელით სიტყვას ვაძლევ თბილისის ბოლშევიკების მე-20 კონფერენციას, რომ პირნათლად შევასრულებთ კონფერენციის მიერ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს.

ქართველი მწერლები შექმნიან ახალ ლექსებსა და მოთხრობებს დედა-თბილისზე. პირადად მე ამ დღეებში დავამთავრე ახალი ლექსების წიგნი განახლებული თბილისის შესახებ.

ბევრი ჰყავდა თბილისს მტერი
შინაური, გარეული,
ეჰ, რამდენჯერ იყო მტკვარში
ჩვენი სისხლი გარეული.

ეჰ, რამდენჯერ უამრავი
დღე და ღამე გაიყარა
და თვალიც არ მოუხუჭავს
მეტეხსა და ნარიყალას.

მოდიოდა მტერზე მტერი,
მოუძღოდა სიკვდილს ხმალი
და რჩებოდა ნაომარზე
ნანგრევი და ნასახლარი.

ჰა, თხუთმეტი საუკუნე
შეუსრულდა თბილისს ახლა,
მაგრამ ათას ხუთასი წლის
ნანგრევსაც კი ძნელად ნახავთ.

მოდიოდა მტერზე მტერი,
არ უშვებდა ქვასაც ქვაზე,
მიწასაც კი არ სტოვებდა
ნასახლარზე, ნააკვნარზე.

რაც უხსოვარ დღიდან მტერმა
დაანგრია, მოსპო, დასცა,
თქვენ ოცდაათ წელიწადში
აღადგინეთ ასჯერ ასად.

თქვენ თბილისის სიყვარული
საგულეში გულად გიძევთ,
თქვენ თბილისი ნანგრევებში
ზღაპრულ სფინქსად გააღვიძეთ.

ნერგი თქვენგან დანერგილი
არასოდეს არ გახმება.
თქვენ ბერიამ შეგასწავლათ
შენება და განახლება.

თქვენ ადინეთ უწყლოს წყალი,
წაუშალეთ თბილისს კიდე
და ბუნებამ რაც ვერ შესძლო
თქვენი ხელით დაამკვიდრეთ.

ტყედ წამოდგნენ ხარაჩონი,
მათი მხრები ღრუბლებს ასცდა.
თქვენ ამაღლებთ მათთან ერთად
საქართველოს მომავალსაც.

თქვენ რომ ვარდი არ შეასხათ,
ალბათ ქვაც კი არ დარჩება.
თქვენ პარტიამ შეგასწავლათ
შენება და გამარჯვება.

თქვენ მოხუცი დედა გლოცავთ,
თქვენს მარჯვენას ბავშვიც აქებს
და კრემლიდან ბრძენთა-ბრძენი
აკვირდება თქვენს დიდ საქმეს.

(მქუხარე ტაში).

ამხ. ნ. მუსხელიშვილის სიტყვა

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი)

მიმდინარე წლის თებერვალში სრულდება 10 წელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებიდან. ამ პერიოდში აკადემია მნიშვნელოვნად გაიზარდა, განმტკიცდა და საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად გადაიქცა.

ყოველივე ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ჩვენი მთავრობის ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას.

მას შემდეგ, რაც სტალინური პრემიები დაწესდა, ეს მაღალი ჯილდო მიენიჭა აკადემიის მეცნიერ მუშაკთა 14 ნაშრომს გეოლოგიაში, პალეონტოლოგიაში, ტექნიკაში, ფიზიოლოგიაში, სოფლის მეურნეობაში, ისტორიასა და არქეოლოგიაში, მათემატიკაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

მეცნიერებათა აკადემია სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება პრაქტიკას. ამ ცოტა ხნის წინათ აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა კომუნიზმის დიდ მშენებლობათათვის ხელშემწყობი კომისია. მთელი რიგი მისი წინადადებანი მოიწონა და მიიღო ცენტრალურმა კომისიამ, რომელიც შექმნილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან. ამ კომისიის მიერ რეკომენდებული ბევრი თემა დასამუშავებლად მიიღეს ჩვენმა ინსტიტუტებმა.

პრეზიდიუმისა და ცალკეული ინსტიტუტების მცირერიცხოვანი და დაქსაქსული პირველადი პარტიული ორგანიზაციების ნაცვლად ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გვაქვს გაერთიანებული პარტიული ორგანიზაცია, რომელიც დიდ როლს ასრულებს მეცნიერთა კადრების პოლიტიკურ აღზრდაში, აღწევს მეტ მიზანდასახულობას აკადემიის მუშაობაში.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა ღირსეულად დააფასა ჩვენი მათემატიკოსების მეცნიერული მიღწევები და ამავე დროს საანგარიშო მოხსენებაში მწვავედ, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკა მეცნიერების მუშაკთა ნაწილში ამ ბოლო დროს შექმნილი არაჯანსაღი ურთიერთობა.

ქართველ მათემატიკოსთა მიღწევებზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმის მიხედვით, რომ მათი ნაშრომები ფართოდ ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ჩვენი ნაშრომების საფუძველზე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ერევნის, ბაქოსა და სხვა ქალაქების ახალგაზრდა მათემატიკოსებმა 50-მდე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია დაწერეს. უკანასკნელ წლებში მოსკოვსა და თბილისში გამოქვეყნდა მონოგრაფიული ხასიათის 7 ვრცელი სპეციალური წიგნი, რომელთაგან სამს სტალინური პრემიები მიენიჭა. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც თავის მნიშვნელოვან ნაწილში ახალგაზრდა ქართველ მათემატიკოსთა დიდი ჯგუფის ნაშრომებს ეყრდნობა, ამას წინათ ინგლისურ ენაზე გამოსცა ავსტრალიის ავიაციის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა (აქვე უნდა ითქვას, ჩვენს უნებართვოდ).

გაძლიერებული მუშაობა როგორც თეორიული, ისე უმთავრესად გამოყენებითი მათემატიკის დარგში განუწყვეტლივ გრძელდება. მაგრამ ჩვენს მათემატიკოსებში ამ ბოლო დროს შექმნილ არაჯანსაღ ატმოსფეროს შეუძლია ხელი შეუშალოს საქმის შემდგომ განვითარებას.

უნდა ვაღიარო, რომ შექმნილ მდგომარეობაში საგრძნობწილად ბრალი მიმიძღვის პირადად მე. მე არ შემიძლია და არ მსურს უარი ვთქვა პასუხისმგებლობაზე, მით უმეტეს, რომ ასაკით ყველაზე უფროსი ვარ საქართველოს მათემატიკოსებში და ბევრი მათგანი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ჩემი მოწაფეა.

შექმნილი მდგომარეობისათვის ჩემი პირადი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ვიღებ რა სახელმძღვანელოდ იმას, რაც ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა მიგვითითა მეცნიერების ზოგიერთ მუშაკთა შორის შექმნილი არაჯანსაღი ურთიერთობის აღმოფხვრის შესახებ, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენ შევძლებთ სწრაფად, ზუსტად, საქმისათვის სასარგებლოდ გადავჭრათ ყველა მტკივნეული საკითხი.

ლენინის დღეებისათვის მზადება რუმინეთში

ბუქარესტი, 18 იანვარი. (საქდესი) რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელნი ემზადებიან ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი შემქმნელის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 27-ე წლისთავის აღსანიშნავად.

განზრახულია რუმინეთის ყველა საოლქო და რაიონულ ცენტრში მოეწყოს პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივის კრებები, რომლებზეც მოსმენილ იქნება მოხსენებანი: „დიდი ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი—ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი“. საწარმოების, სახელმწიფო სასოფლო მეურნეობების, მტს-ების, კოლექტიური სასოფლო მეურნეობების კლუბებსა და წითელ კუთხეებში, სკოლებში, კულტურის სახლებში იმართება ილიჩის ხსოვნის საღამოები. მზადდება დიდი ბელადისადმი მიძღვნილი სპეციალური რადიოგადაცემები.

ლენინის დღეებისათვის რუმინეთის მუშათა პარტიის გამომცემლობა მასობრივი ტირაჟით უშვებს წიგნს „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა“, ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაშრომს „სახელმწიფო და რევოლუცია“, აგრეთვე ვ. ი. ლენინის სტატიას „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში“.

გამოშვებულია წიგნები ი. ბ. სტალინისა „ლენინის შესახებ“, გეორგიუ-დეჟისა „ლენინი—მშრომელი კაცობრიობის გენიოსი და რევოლუციური პროლეტარიატის დიდი მასწავლებელი“, ანა პაუკერისა, „ლენინი ცოცხლობს მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელთა გულში“, ა. ი. ვიშინსკისა — „ლენინი — საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ორგანიზატორი“.

მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა გამოსაშვებად ამზადებს ვ. მაიაკოვსკის ლექსთა კრებულს „ლენინი ჩვენთანაა“.

ბუქარესტის მუდმივ გამოფენასთან „ი. ბ. სტალინი“ და პარტიულ კაბინეტებში ეწყობა კონსულტაციები თემებზე: „ლენინისა და სტალინის დიადი მეგობრობა“, „27 წელი ულენინოდ, სტალინის ხელმძღვანელობით, ლენინის გზით“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის დეპეშა

პეკინი, 18 იანვარი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს და აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური კომისიის წევრ ყველა ქვეყანას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: „ყოველი რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნება აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური კომისიისა და მისი სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის სხდომებზე 475-მილიონიანი ხალხის წარმომადგენლის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატის მონაწილეობის მიუღებლად, უკანონო და ძალამოკლებული იქნება“.

აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური კომისიის მეშვიდე სესია და მისი სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის სხდომები უნდა გაიმართოს ამა წლის თებერვალში ლაჰორში (პაკისტანი).

ჯოუ ენ-ლაი მოაგონებს, რომ აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური კომისიის მეექვსე სესიის და მისი სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის თათბირის გამართვის წინ ბანკოკში ამ კომისიამ და კომიტეტმა უარი თქვეს დაეშვათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი დელეგატი და ნება დართეს ჩინეთის გომინდანური რეაქციული ხროვის ნაშთების უკანონო „დელეგატებს“ დასწრებოდნენ მათს სხდომებს. დეპეშაში ნათქვამია, რომ ეს ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ართმევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას უდავო უფლებას მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც აზიასა და შორეულ აღმოსავლეთს ეხება.

ჯოუ ენ-ლაის დეპეშაში ნათქვამია: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა ძალაში ტოვებს ძი ჯაო-ტინის დანიშვნას თავის დელეგატად აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური კომისიის მეშვიდე სესიასა და მისი სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად. ჩინეთის გომინდანური რეაქციული ხროვის ნაშთების უკანონო „დელეგატებს“ უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ კომისიისა და კომიტეტის სხდომებში და განდევნილ უნდა იქნან იქიდან“.

დეპეშა გაეგზავნა ნიუ-იორკში დავიდ ოუენს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს და აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური კომისიის წევრი ყველა ქვეყნისათვის გადასაცემად.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მუშაობის შედეგები

პეკინი, 18 იანვარი. (საქდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ 1950 წელს დიდი მუშაობა გასწია. ამჟამად ჩინეთის ყველა მთავარ ქალაქშია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების განყოფილებები. 1950 წლის ნოემბრისათვის არსებული ცნობების თანახმად, საზოგადოებაში ირიცხება 3.313.799 წევრი.

საზოგადოება უშვებს ყოველთვიურ ჟურნალს „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა“ („ჯუნსუიუხაო“). გაზეთ „ჟენმინჟიბაოს“ 22 ნომერს დართული ჰქონდა საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილი სპეციალური შიდა ფურცლები. გარდა ამისა, ჩინურ ენაზე ითარგმნა რვა წიგნი, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა კავშირის შესახებ. ეს წიგნები ფართოდ გავრცელდა ჩინეთის მოსახლეობაში. საზოგადოებამ მოაწყო 99 გამოფენა და განახორციელა მრავალი სხვა ღონისძიება იმისათვის, რომ ჩინელ ხალხს გააცნოს საბჭოთა კავშირი.

გასულ წელს 27 ქალაქში უჩვენეს საბჭოთა კინოფილმები, რომლებიც ნახა 1.690 ათასზე მეტმა მაყურებელმა. საზოგადოება ფართოდ იყენებს მოძრავ კინოს.

საზოგადოების მიწვევით მთელმა რიგმა საბჭოთა პროფესორებმა გასულ წელს გამართეს 209 ლექცია და საუბარი, რომლებსაც დაესწრო 250.000-ზე მეტი კაცი. საბჭოთა პროფესორების მიერ წაკითხული ლექციები ხელს შეუწყობს ეკონომიკის, კულტურისა და ხელოვნების განვითარებას ჩინეთში.

ფართოდ მოწყობილია რუსული ენის შესწავლა, რუსული ენის საღამოს კურსები საზოგადოების ყველა განყოფილებაშია.

შანხაიში ამერიკელთა საწარმოებისადმი სახალხო კონტროლის დაწესება

შანხაი, 17 იანვარი. (საქდესი). გაზეთი „ძეფანჟიბაო“ წერს, რომ, ამერიკელთა საწარმოებისადმი და აქტივებისადმი კონტროლის დაწესებისა და ამერიკის სახელმწიფო და კერძო ანაბრების გაყინვის შესახებ ჩინეთის ბანკებში სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს ბრძანების შესრულების მსვლელობაში, შანხაიში დაწესდა კონტროლი ამერიკელთა 130 საწარმოსადმი, მათ შორის შანხაის ელექტროკომპანიის, შანხაის სატელეფონო კომპანიის, „სტანდარდ ვაკუუმ ოილ კომპანის“ შანხაის განყოფილებისა, „ტეხას ოილ კომპანის“ და სხვა კომპანიებისადმი.

ამ საწარმოთა ყველა მუშამ და მოსამსახურემ დაუყოვნებლივ დაუჭირა მხარი მთავრობის ბრძანებას კონკრეტული მოქმედებით, გააძლიერა საწარმოთა დაცვა და მიიღო სიფრთხილის ღონისძიებანი საქონლის დატაცებისა და უკანონოდ გაგზავნის წინააღმდეგ.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 18 იანვარი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 18 იანვარს გამოაცხადა:

სახალხო არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე ეწევიან აქტიურ საბრძოლო მოქმედებას.

მოწინააღმდეგის ჯარები, რომლებმაც ვონჯუდან (გენსიუ) და სუვონიდან (სუიგენი) უკან დაიხიეს სამხრეთისაკენ, ცალკეულ რაიონებში გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწევიან.

სახალხო არმიის ავიაციამ, რომელიც აქტიურად მოქმედებს ფრონტზე და მოწინააღმდეგის ზურგში, მოიპოვა დიდი საბრძოლო წარმატებანი.

ამერიკის სარდლობამ შეწყვიტა ცნობების გამოქვეყნება კორეაში საომარი მოქმედების შესახებ

პარიზი, 18 იანვარი. (საქდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ კორეაში ამერიკის სამხედრო სარდლობამ შეწყვიტა კორეაში საომარი მოქმედების შესახებ ყოველგვარი ცნობების გამოქვეყნება. ამერიკელი ინტერვენტები ამ ღონისძიებას „უშიშროების“ მოსაზრებებით ხსნიან.

რეაქციის პარპაში თურქეთში

სოფია, 18 იანვარი. (საქდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, ყველა თურქული გაზეთი ბეჭდავს ცნობებს თურქეთში მასობრივი დაპატიმრების შესახებ.

გაზეთი „ჯუმჰურიეთი“ იუწყება, რომ მარტო 13 იანვარს ანკარის პოლიციამ დააპატიმრა და სამართალში მისცა 50 კაცი. გაზეთი „ვათანი“ იუწყება ქალაქებში ზონგულდაკსა და ბურსაში მომხდარ დაპატიმრებათა შესახებ. გაზეთები „ენი ისტანბული“ და „სონ ტელგრაფი“ წერენ იმ დაპატიმრებათა შესახებ, რაც კირშეჰირისა და ჰატაის ვილაეთებში მოხდა.

გარდა ამისა, გაზეთები იუწყებიან, რომ ახალ დაპატიმრებებს მოელიან ანკარაში, სტამბოლში, სმირნაში, ადანაში, კონიასა და სხვა ქალაქებში.

თურქული პრესა იუწყება, რომ დაპატიმრებულთა შორის არიან ინტელიგენციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსამსახურეები, მუშები და სამხედრო პირებიც კი. ამ მოქალაქეთა დაპატიმრების გასამართლებლად თურქეთის პოლიცია და რეაქციული პრესა დაპატიმრებულ მოქალაქეებს ბრალად სდებენ, თითქოს მათ შექმნეს მთელ თურქეთში განშტოებული დიდი არალეგალური ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია თითქოს ამზადებდა მთავრობის დამხობას. ზოგიერთ დაპატიმრებულს ბრალად ედება, რომ მათ ურთიერთობა ჰქონდათ ახალგაზრდა პროგრესისტ თურქების კავშირთან პარიზში და ემხრობოდნენ მშვიდობისათვის ბრძოლას. სხვებს ბრალად ედებათ, რომ პირდაპირი კავშირი ჰქონდათ მშვიდობისათვის მოძრაობის ხელმძღვანელებთან, რომლებსაც ამას წინათ დასდეს მსჯავრი თურქეთში.

ეგვიპტური გაზეთი გუდერიანის ადგილსამყოფელის შესახებ

პარიზი, 18 იანვარი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტი იმოწმებს გაზეთ „ალ მისრის“ ცნობას და გადმოგვცემს, რომ ჰიტლერელი გენერალი გუდერიანი, რომელიც ეგვიპტის დედაქალაქში სხვისი გვარით ცხოვრობდა, 17 იანვარს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა. „ალ-მისრის“ სიტყვით, გუდერიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა როგორც ტანკების სპეციალისტი. გაზეთი დასძენს, რომ კაიროს ამერიკული წრეები უარს ამბობენ რაიმე თქვან გუდერიანის გამგზავრების მიზნის შესახებ.

იტალიის სოციალისტური პარტიის 29-ე ყრილობა

ბოლონია, 18 იანვარი. (საქდესი). ბოლონიაში, როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ გაიხსნა იტალიის სოციალისტური პარტიის 29-ე ეროვნული ყრილობა. ყრილობის დაახლოებით 400 დელეგატი და საზოგადოებრიობის წარმომადგენელი რამდენიმე ასეული სტუმარი მხურვალედ შეხვდნენ პიეტრო ნენისა და სოციალისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელების გამოჩენას პრეზიდიუმში. ყრილობის ყველა მონაწილე ფეხზე წამოდგა და მქუხარე ოვაცია გამართა, როდესაც თავმჯდომარე სენატორი მანჩინი თავისი შესავალი სიტყვით მიესალმა მშვიდობის დიდ ბურჯს — საბჭოთა კავშირს, სახალხო ჩინეთსა და გმირ კორეელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის.

იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ტოლიატიმ ყრილობას გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: „გიძღვნით მხურვალე ძმურ სალამს იმ რწმენით, რომ მუშათა და სახალხო პარტიების გადამწყვეტი გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე საჭიროა მშვიდობის დასაცავად და ახალი კატასტროფებისაგან ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად. ვიმედოვნებ, რომ თქვენი ყრილობის მუშაობა განამტკიცებს მუშათა კლასისა და ხალხის ერთიანობას და მათს მისწრაფებას იბრძოლონ შრომისა, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის“.

დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა მისასალმებელი გამოსვლების შემდეგ ყრილობამ მიიღო ნენისა და ყრილობის პრეზიდიუმის ყველა წევრის მიერ წარმოდგენილი მიმართვა ეიზენჰაუერისადმი.

„იტალიის ისტორიაში, — ნათქვამია მიმართვაში, — არ ყოფილა და არ არის უფრო დამღუპველი და უფრო არაპოპულარული გადაწყვეტილება, ვიდრე ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო დე გასპერის მთავრობამ ატლანტიკის პაქტისადმი მიმხრობის შესახებ. ამ დანაშაულებრივი გადაწყვეტილების წინააღმდეგ იტალიის სოციალისტური პარტია მაქსიმალური შეუპოვრობითა და თავგამოდებით იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს ყოველგვარ პირობებში“.

მოითხოვს რა ეიზენჰაუერისაგან გაითვალისწინოს იტალიის მოქალაქეთა ნება, რომელიც გამოხატულია 17 მილიონი ხელმოწერით სტოკჰოლმის მოწოდებაზე, ყრილობა თავის მიმართვაში აცხადებს: „მინისტრები, რომლებიც გპირდებიან, თქვენ, ბატონო გენერალო, იტალიელ ჯარისკაცებს თქვენი არმიისათვის, გატყუებენ. იტალიელი ხალხი უარყოფს ატლანტიკის პაქტის პოლიტიკას. მას სურს მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობა. ჩვენი ხალხი, მისდა საუბედუროდ, ჩათრეულ იქნა მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერელთა ინტერესებისათვის. იგი არავის მისცემს საშუალებას ჩაითრიონ მესამე ომში ამერიკელ იმპერიალისტთა ინტერესებისათვის.

იტალიის სოციალისტური პარტიის 29-ე ყრილობა გთხოვთ, ბატონო გენერალო, აცნობოთ ვაშინგტონში ჩვენი ხალხის ნების ეს პატიოსანი და აშკარა გამოცხადება“.

ყრილობის საღამოს სხდომაზე საანგარიშო მოხსენება პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებზე გააკეთა პარტიის გენერალურმა მდივანმა პიეტრო ნენიმ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაღაროელთა ღია წერილი დასავლეთ გერმანიის მაღაროელებისადმი

ბერლინი, 18 იანვარი (საქდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაღაროელთა პროფკავშირის ცენტრალურმა გამგეობამ ღია წერილი გაუგზავნა დასავლეთ გერმანიის ყველა მაღაროელს. წერილში ნათქვამია:

„ჩვენ მოვუწოდებთ დასავლეთ გერმანიის ყველა მაღაროელს ადენაუერის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და მისი ბატონების — ამერიკელი იმპერიალისტების გეგმების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მობილიზებულ უნდა იქნას მუშათა მთელი ძალები ადენაუერის პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ, გერმანელი მაღაროელები, არ ვაპირებთ უსიტყვოდ შევასრულოთ ადენაუერის ყველა მაქინაცია. პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის წინადადების უარყოფით ადენაუერმა აშკარად დაამტკიცა, რომ იგი მოქმედებს მხოლოდ გერმანელ და უცხოელ მონოპოლისტთა და ომის გამჩაღებელთა დავალებით და გერმანელი ხალხის ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებს მათს ინტერესებს“.

ღია წერილი შეიცავს მოწოდებას დასავლეთ გერმანიის მეშახტეებისადმი — გადააქციონ ხელფასის გადიდების მოთხოვნის განხორციელებისათვის მათი მომავალი გაფიცვა მასობრივ პროტესტად ადენაუერის მოღალატური პოლიტიკის წინააღმდეგ. „მთელი ძალები, — ნათქვამია წერილში, — მოახმარეთ ოტო გროტევოლის წინადადებისათვის მხარდაჭერას, მშვიდობას, გერმანიის ერთიანობასა და გერმანელი ხალხის ბედნიერ მომავალს!“.

ავანტიურების გზით

დასავლეთ გერმანიაში ათავისუფლებენ 500 გერმანელ სამხედრო დამნაშავეს

ბერლინი, 18 იანვარი. (საქდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს, უმაღლესი საოკუპაციო კომისიის ამერიკული ნაწილის წარმომადგენელმა მაინის ფრანკფურტში განაცხადა, რომ მომავალ კვირაში გამოცხადდება იმ 500 სამხედრო დამნაშავის ამნისტია, რომლებიც ამჟამად ლანდსბერგის საპყრობილეში იმყოფებიან.

ამნისტირებულთა შორის იქნება აგრეთვე 28 სამხედრო დამნაშავე, რომელთაც გამოტანილი აქვთ სასიკვდილო განაჩენი. განაჩენის სისრულეში მოყვანას დღემდე აჭიანურებდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციონერები ცდილობენ აკრძალონ გაზეთი „დეილი უორკერი“

ნიუ-იორკი, 18 იანვარი (საქდესი). ეგრეთწოდებული „გაზეთების გამყიდველთა ნიუ-იორკის ასოციაციის“ ხელმძღვანელმა რიხტერმა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორს დიუის გაუგზავნა დეპეშა და წინადადება მისცა მას აკრძალოს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ორგანო—გაზეთი „დეილი უორკერი“. რიხტერი ამტკიცებდა, რომ გაზეთების გამყიდველთა უმეტესობას თითქოს უარი ეთქვას „დეილი უორკერის“ გაყიდვაზე

ამასთან დაკავშირებით „დეილი უორკერი“ აღნიშნავს, რომ რიხტერმა უარი თქვა გამოაქვეყნოს კომპარტიის ორგანოს გაყიდვაზე უარისთქმის წინადადებისათვის მიცემულ ხმათა ნამდვილი რაოდენობა. ის ორგანიზაცია, რომელსაც რიხტერი მეთაურობს, დასძენს „დეილი უორკერი“, გაზეთების გამყიდველთა მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობის წარმომადგენელია. მიუხედავად რიხტერის და მისი რეაქციონერი დამქაშების ღონისძიებებისა, „დეილი უორკერი“ წინანდებურად გაიყიდება ნიუ-იორკში.

პლევენის გამგზავრება ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 17 იანვარი. (საქდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი პლევენი ჩავა ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრუმენთან და სხვა ოფიციალურ პირებთან მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკება გაიმართება 29 და 30 იანვარს.

აგიტმხატვრული ბრიგადა კოლმეურნეობებში

ბორჯომი. (საქ. კორ.). რაიონის კულტურის სახლმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით შექმნა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელიც რაიონის კოლმეურნეობებსა და საარჩევნო უბნებში გამართავს კონცერტებს.

აგიტმხატვრულმა ბრიგადამ ამ დღეებში კონცერტები გამართა დაბა წაღვერისა და სოფელ მზეთამზის კოლმეურნეობებში.

სასოფლო საავადმყოფო

ქარელი. (საქ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ რაიონის ერთ-ერთ შორეულ სოფელში—დირბში გახსნა 10-საწოლიანი საავადმყოფო.

„ბედნიერების სამჭედლო“

ამ დღეებში ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრმა დადგა პოლიკარპე კაკაბაძის ახალი პიესა „ბედნიერების სამჭედლო“.

პიესაში ასახულია ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლებისა და სოციალისტური სოფლის მოწინავე ადამიანების თანამეგობრობა. როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. კიკნაძე და ა. მურუსიძე, მსახიობები ალ. კალანდარიშვილი, თ. ლორთქიფანიძე, ალ. ჩიქვინიძე, ლ. შენგელია, ტ. თელთაძე, შ. ქარცივაძე, თ. მუსერიძე, ი. სიხარულიძე.

პიესა დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ვ. ქუთათელაძემ, მხატვრულად გააფორმა გ. ჩარკვიანმა, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ გ. კემულარიას.

ახალი წიგნები

გრიგოლ აბაშიძე. ლექსები და პოემები. წიგნი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: „გამარჯვების და მშვიდობის სარდალს“, „სამგორის ველზე“, „სამხრეთ საზღვარზე“, „ჯაჭვგაუხდელი“, „სვეწკის ჩვენება“, „დედასთან“; პოემები („შავი ქალაქის გაზაფხული“, „გიორგი მეექვსე“, „ძლევის ქედი“, „ზარზმის ზმანება“); „მის აკვანს ვეთაყვანები“; „შანდორ პეტეფიდან“ (თარგმანები). რედაქტორია ირ. აბაშიძე. წიგნი ღირს 15 მან. გამოსცა სახელგამმა.

ხუტა ბერულავა. „დღეები“ (ლექსები და პოემები). წიგნი შედგება ოთხი განყოფილებისაგან. რედაქტორია გ. ნატროშვილი. წიგნი გამოცემულია აფხაზეთის სახელგამის მიერ და ღირს 5 მან.

იზრდება საავტობუსო მოძრაობის ქსელი

რესპუბლიკის მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ შემოიღო ახალი მარშრუტები ავტობუსებისათვის.

ამ უკანასკნელ ხანში 210 კილომეტრის სიგრძის ახალი მარშრუტი მიემატა ჩვენი რესპუბლიკის საავტობუსო მოძრაობის ქსელს.

ახალი მარშრუტები გაიხსნა შემდეგი მიმართულებებით: თბილისი—გლდანი, ბორჯომი—ტაძრისი, ქუთაისი—საყულია, მახარაძე—ლიხაური, ფოთი—ჩოჩხათი, სოხუმი—ბარლები.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექცია აცხადებს, რომ მუზეუმი მნახველთათვის ღიაა კვირაობით და დღესასწაულის დღეებში დილის 9 ს. 30 წ. საღამოს 6 საათამდე, დანარჩენ დღეებში (გარდა ორშაბათისა) — დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

მუზეუმის მისამართი: რუსთაველის პროსპექტი, № 29.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

21 იანვარს

06.45 — სიმღერები სამშობლოზე. 07.50 — გლინკას ოპერა „ივან სუსანინის“ შესავალი. 08.30—სიმღერები მოსკოვზე. 10.50 — „პიონერთა დილის“ საკვირაო გამოშვება. 12.15—გადაცემა მოსწავლეთათვის — პოპოვის პიესის „ოჯახის“ მონტაჟი. 13.20 — სიმღერები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინზე. 13.50 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“. 17.15 — ტესკას სიმფონიური პოემა „მავზოლეუმთან“. 18.00 — ნარკვი ლენინელები. მიკროფონთან „ჩვენ ვსწავლობთ დიდი ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას“. 18.20 — ბეთჰოვენის სონატა. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. საუბარი: „ლენინი და ახალგაზრდობა“. 19.15—ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია. 19.45 — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი გადაცემა.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — „ალი“ (მე-3 აბ.); **რუსთაველის სახელობის თეატრში სპექტაკლი არ შედგება; მარჯანიშვილის სახელობის**—„ჩვენი პირადი საქმე“; **გრიბოედოვის სახელობის** — „ცოცხალი ლეში“ (მე-16 აბ.); **სომხური დრამის** —„საიათნოვა“; **მუსიკალური კომედიის**—„მხიარული ქვრივი“; **ხანკულტურის**—„შეხვედრა დღეობაზე“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„შინ დაბრუნება მინდა“ (57-ე აბ. 7 საათზე). **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—„პოლკის შვილი“ (მე-9 აბ. 6 საათზე); **კონსერვატორიის დიდი დარბაზი**—სიმფონიური კონცერტი დირიჟორი ჯ. გოკიელი (დასაწყისი საღამოს 9 საათზე); **ფილარმონიის საზამთრო თეატრში**—სახელმწიფო ცეკვის ანსამბლი ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით (დასაწყისი საღამოს 9 საათზე).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის—„ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“ (დღისით), „მახე“ (საღამოს); **„სპარტაკი“, „კოლხიდა“**—„მახე“; **„თბილისი“**—„ახალგაზრდა გვარდია“ (I და II სერია). **„ამირანი“** — „ლენინი ოქტომბერში“ (დღისით), „მახე“ (საღამოს); **„ოქტომბერი“**—„ფიცი“ (დღისით), „მახე“ (საღამოს); **„კომკავშირელი“**—„ვიბორგის მხარე“; **26 კომისრის სახელობის**—„მახე“ (პირველი დარბაზი), „თოფიანი კაცი“ (მეორე დარბაზი); **„ისანი“**—„მახე“ (დღისით), „ლენინი 1918 წელს“ (საღამოს); **„კოლმეურნე“**—„გიორგი სააკაძე“.

რუსთაველის სახელობის თეატრი

აცხადებს, რომ სპექტაკლი „ნ. ბარათაშვილი“, რომელიც დანიშნული იყო 20 იანვრისათვის, გადატანილია 25 იანვრისათვის. შეძენილი ბილეთები ძალაში რჩება 25 იანვრისათვის.

მამა სერგო, მეუღლე ოლია, შვილები თემურ, მანანა, ძმა შოთა, დეიდა ნ. ჭანტურია, მამიდა თ. ქლენტი ოჯახებით იუწყებიან **გიორგი სერგოს-ძე აბაშიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება შორაპნიდან, დაკრძალვა ზესტაფონში 23-I, 3 ს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შ. ჯანიაშვილს მისი მეუღლის **მარიამ იოსების ასულ ჯანიაშვილის** გარდაცვალების გამო.

თბილისის სტალინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. ჭყონიას მისი დედის **ელენე ნესტორის ასულ ინალიშვილი-ჭყონიას** გარდაცვალების გამო.

ძმა გიორგი, რძალი სონა, ძმისწულები ოლღა, მაკრინე და მინადორა იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის **მარიამ მარკოზის ასულ ტყემალაძე-ხატიაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-I, 4 ს. [illegible], 47.

შვილები კატო, ელიკო, დები დ. გოზალიშვილი, თ. ხუციძე, ძმა მ. ბედმანიკაშვილი, დისწულები ნ. ნამგალაძე, ფ. ახმეტელაშვილი, ძმისწულები ი. ჩარბაძე, ნ. ამოზაშვილი იუწყებიან **ანა დავითის ასულ ჩალათაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-I, 7 ს. გამოსვენება 21-I, 3 ს. რუსთაველის, 40.

მეუღლე ეკატერინე, შვილები მიშა, ვოლოდია, ვახტანგ, გალინა, რძლები ქეთო, ვერა, თამარ შვილებით, სიძეები მ. კირვალიძე, ა. დუმბაძე იუწყებიან **ვიქტორ სიმონის-ძე გოგრიჭიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-I, 2 ს. კალინინის, 73. დაკრძალვა ქ. [illegible].

დედა აგრაფინა, მეუღლე ელენე, შვილები მერაბ, თენგიზ, სიდედრი მაშო, ძმა ტუხა, დები დოსია, ლარისა, ნინო იუწყებიან, რომ 21-I, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **შალვა ლავრენტის-ძე ლანდიას** პანაშვიდი.

შ. ბერიძე, წ. პულუზოვი, ქ. აბულაძე, გ. შოშიტაიშვილი, ბ. გოგუაძე თანაგრძნობას უცხადებენ ე. ფრანგიშვილს მისი დედის **სოფიო ექვთიმეს ასულ ფრანგიშვილის** გარდაცვალების გამო.

პ. სოხაძე, ლ. კობიაშვილი, ა. ბუჩუკური, დ. ჭანიშვილი, ვ. ციციშვილი, ი. კახიძე, ნ. გაბაშვილი, დ. ჯაფარიძე, გ. კანდელაკი, ი. ჩარკვიანი იუწყებიან **ტრიფონ გრიგოლის-ძე ხააკაშვილის** გარდაცვალებას.

ა. ქუთათელაძე, ლ. გუგუნავა, გ. სტურუა, ნ. გოდერძიშვილი, პ. მერაბიშვილი, დ. სტურუა თანაგრძნობას უცხადებენ გ. ნამიჩეიშვილს მისი მამის **ილარიონის** გარდაცვალების გამო.

თ. თოფურია, ე. მეტრეველი, მ. აზმაიფარაშვილი, თ. ტაბატაძე, ქ. გოდერძიშვილი, თ. ფირალიშვილი, დ. ყიფშიძე, ე. ჯავახიშვილი, თ. კაციტაძე თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ასათიანს მისი მამის **ივანეს** გარდაცვალების გამო.

თბილისის ვაჟთა 21-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ ლ. ინალიშვილს მისი დის **ელენე ინალიშვილი-ჭყონიას** გარდაცვალების გამო.

პ. ბოკერია, ქ. გერსამია, გ. იოსელიანი, შ. ბოკერია თანაგრძნობას უცხადებენ ნ. მ. და მ. ქვარიანებს მათი სიძის **დავით ვლადიმერის-ძე ავალიანის** გარდაცვალების გამო.

საქვაჭრობის ხე-ტყის ბაზის თანამშრომლები იუწყებიან **დავით ვლადიმერის-ძე ავალიანის** გარდაცვალებას.

დედა მარიამ, მეუღლე სონა, შვილები ნინო, გივი, ძმები ირაკლი, საშა, გრიშა, დები სონია, ელენე, თამარ ოჯახებით იუწყებიან, რომ 21-I, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ვახო ივანეს-ძე კოჩლავაშვილის** პანაშვიდი.

მეუღლე შალვა, შვილი ილია, დედა ნინო, დედამთილი ვასასა, მამიდა მატა, დები თინა, შურა იუწყებიან, რომ 21-I, 2 ს კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **მარო გელაშვილი-კაციტაძის** პანაშვიდი.

აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს დირექცია, პარტორგანიზაცია და პროფორგანიზაცია იუწყებიან გ. ნამიჩეიშვილის მამის **ილარიონ ბესარიონის-ძე ნამიჩეიშვილის** გარდაცვალებას.

ქალთა 26-ე საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან მასწავლებელ **მარიამ მარკოზის ასულ ტყემალაძე-ხატიაშვილის** გარდაცვალებას.

ტრესტ „საქართველოს ტუნგოს“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ი. ბარაბაძეს მისი დედის **თეოლინე გიორგის ასულ ბარაბაძის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 21-I სოფ. მათხოჯში.

მეუღლე იოსებ, შვილები ლამარა და ნათელა იუწყებიან, რომ 21-I, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **თამარ სპირიდონის ასულ კახაძის** პანაშვიდი.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები იუწყებიან ს. ჯანდიერის მეუღლის **ელენე ვლადიმერის ასულ ხლინკო-ჯანდიერის** გარდაცვალებას გამოსვენება 21-I, 1 ს. ჯავახიშვილის, 27.

შ. პალაგანიძე, ი. ანშილევიჩი, ა. ვეკუშევი, ე. ლილუაშვილი, თ. გონგლიაშვილი, გ. ფანჩულიძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. ნამიჩეიშვილს მისი მამის **ილარიონის** გარდაცვალების გამო.

შვილები გიორგი, გუგული, ნადია, რძალი ფატი, შვილიშვილები ალექსანდრე თარგამაძე, შოთა რევიშვილი ოჯახებით, გურამ, დალი, თამაზ, მეგი იუწყებიან **ბართლომე დიონისის-ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-I, ს. საჯავახოში.

მეუღლე ელენე, შვილი ცაცა, სიძე შ. კოკილაშვილი, შვილიშვილი მალხაზ, ცოლისდები ანა, მანია, თამარ, ვერა, ნინო შვილებით იუწყებიან **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ლაფაურის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-I, 7 ს. გამოსვენება 21-I, 4 ს. არაგვისპირელის, 32.

დეიდები მარუსია, ნინო, ზინა ბერაძეები შვილებით, ბიძები ნ. ჯანელიძე, გ. ოქრობელაშვილი, სიძე შ. კრავეიშვილი იუწყებიან **ტატიანა ნიკოლოზის ასულ შარაშენიძე-ხუროშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-I, 8 ს. გამოსვენება 21-I, 2 ს. ზოოტექნიკური, 4.

ვ. ჯიშკარიანი, ა. დუმბაძე, თ. ბენაშვილი, ი. ფარცვანია, მ. ამაშუკელი, მ. გვახარია, ა. ბუდაგიანი, ს. დადივაძე, ვ. დორფმანი, ვ. ხაზარაძე, ქ. კაციაშვილი, გ. მატახერია თანაგრძნობას უცხადებენ ლ. აბელედიანს მისი მამის **ბარნაბ ბახვას-ძე აბელედიანის** გარდაცვალების გამო.

დედა სოფიო, შვილები ოთარ, ეთერ, სიძე მიშა შვილებით იუწყებიან **ირაკლი პავლეს-ძე ხერუმაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-I, 7 ს. გამოსვენება 21-I, 4 ს. გუბის, 10 (ლენრაიონი).

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის 1 საფერშლო სკოლის პედაგოგიური და ადმინისტრატიული პერსონალი თანაგრძნობას უცხადებს ლ. ცერცვაძეს მისი სიძის **ნესტორ იოსების-ძე ცინორიძის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 21-I ზესტაფონში.

მეუღლე ეკატერინე, შვილი ქეთევან იუწყებიან, რომ 21-I, 2 ს. პეტრეპავლეს სასაფლაოზე დანიშნულია **ვლადიმერ ზაქარიას-ძე კრაწაშვილის** პანაშვიდი.

თბილისის ქალთა 27-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ვ. ჯიქიას მისი დედამთილის **ნადია ჯაოშვილის** გარდაცვალების გამო.

თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-11 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ ნ. კაჭარავას მისი დედის **მარიამის** გარდაცვალების გამო.

შვილები შალვა და თინა, რძალი მაგლონა, სიძე გრიშა ლოლუა შვილებით იუწყებიან, რომ 21-I, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ლილოხი ონისიმეს ასულ ჯაკობია-ნემსაძის** პანაშვიდი.

შვილი ქეთო ასათიანი, ევგენია პროკოფიევა იუწყებიან **ივანე გუჯმახანის-ძე ასათიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-I, 7 ს. გამოსვენება 21-I, 2 ს. ყაზბეგის, 14.

ნორა და ტომია ავალიშვილები იუწყებიან **დათიკო ავალიანის** გარდაცვალებას.

საქართველოს კურორტვაჭრობის ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შ. აბესაძეს მისი შვილის **ლილის** გარდაცვალების გამო.

ძმა კონსტანტინე, რძლები კლავდია, ელენე, ძმისწულები მარიკა, მერი, ელენე, დარეჯან, ლადო, იური, დიმიტრი, სიძე შ. ცაგარეიშვილი, მამიდაშვილი შ. ქლენტი ოჯახით იუწყებიან **დავით ვლადიმერის-ძე ავალიანის** გარდაცვალებას.

ვ. ქველაძე, გ. ბახტაძე, შ. ქევანიშვილი, ვ. სულაძე, ქ. კიკვილაშვილი, ა. პერტენავა, გ. გრიგოლია, ნ. მაჭავარიანი, ვ. მახარაძე, ქ. ჩიჩუა, გ. შავგულიძე, ს. ნიჟარაძე თანაგრძნობას უცხადებენ ე. ფრანგიშვილს მისი დედის **სოფიოს** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უშ 00213